პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 15 აპრილი 1937 წ. № 86 (4887)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს გაზეთში:**

- ყურადღება მშენებლობას! (მოწინავე)
- 1937 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკოს კონტრაქტაცია
- სერიოზული გაფრთხილება სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელებს
- ურყევად გავატაროთ ფარული კენჭისყრის წესები
- ა. ბალათუროვი, მ. კახრამანოვი — გამოვასწოროთ საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენა (ფელეტონი)
- კ. სულაქველიძე — დივერსანტების პრაქტიკა (ფელეტონი)
- კარლო კალაძე — ყველგან (ლექსი)

**უცხოეთში:**

- ესპანეთის ფრონტებზე
- მთავრობის ჯარების შეტევა
- ჩვენი ბრძოლა მანამდე არ დამთავრდება, სანამ ხალხი არ გაიმარჯვებს
- ბოლდუინის განცხადების შეფასება ოპოზიციური პრესის მიერ

# ყურადღება მშენებლობას!

მიმდინარე წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშენებლობისათვის 480 მილიონ მანეთზე მეტი უნდა დაიხარჯოს. ასეთი დიდი თანხის ათვისება მოითხოვს მშენებლობის ისეთი ტემპით გაშლას, რომ წლიური სამშენებლო პროგრამის შესრულება მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას წლის ბოლომდე. უნდა აღმოიფხვრას წინა წლების პრაქტიკა, როდესაც სამშენებლო მუშაობის გაშლა მხოლოდ მესამე კვარტალში ხდებოდა და არსებითად სამშენებლო სეზონი ოთხი-ხუთი თვით განისაზღვრებოდა.

სამეურნეო სახალხო კომისარიატები და სამეურნეო ორგანოები მიმდინარე წლის სამშენებლო გეგმის შესრულებას მომზადებული ვერ შეხვდნენ, არ მიიღეს სათანადო ზომები წლის დასაწყისშივე ამ მუშაობის გაშლისათვის, რესპუბლიკურ და ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობაში მთლიანად კვარტალური გეგმაც შესრულებულია მხოლოდ 55 პროცენტით. მთელ რიგ უწყებათა მიერ ჩაშლილია კაპიტალური სამუშაოთა გეგმა და ფაქტიურად მშენებლობა არც კი დაწყებულა (ჯანმრთელობის, განათლების, მიწათმოქმედების, სახ. კომისარიატები და სხვ.).

ჯანმრთელობის დარგში მშენებლობის კვარტალური გეგმა შესრულებულია თბილისის გამოკლებით მხოლოდ 15 პროცენტით. ფრიად დიდი მნიშვნელობის სამუშაო — სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობა პირველ კვარტალში არც კი დაწყებულა. მიმდინარე წელს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში უნდა აშენდეს 52-ზე მეტი სამშობიარო სახლი და ასზე მეტი საბავშვო ბაგა. ახალი სამშობიარო სახლების უმეტესი ნაწილი მოქმედებაში უნდა შევიდეს სექტემბრამდე. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები არა თუ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ამ ვადისათვის სამშობიარო სახლების დასამთავრებლად, არამედ „ვარაუდობდნენ“ პირველი იანვრისათვის მათ დამთავრებას, რითაც უხეშად არღვევენ საკავშირო სახკომსაბჭოს ცნობილ დადგენილებას.

ჯანსახკომმა მიმდინარე წელს უნდა ააშენოს ახალი საავადმყოფოები ხულოში, გალში, ადიგენში, მახარაძეში, წალენჯიხაში და სხვ. ამ ობიექტების მშენებლობა არა თუ არ დაწყებულა, არამედ ჯერ პროექტებიც კი არ არის შედგენილი.

განათლების დარგში პირველ კვარტალის სამშენებლო გეგმა შესრულებულია მხოლოდ 27 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩება სასკოლო მშენებლობა. სკოლების მშენებლობა პირველ კვარტალში არც კი დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ ის აგვისტოში უნდა დამთავრდეს. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გორსა და სტალინირში უნდა აშენდეს 12 ახალი სკოლა, გარდა ამისა, სოფლებში კიდევ რამდენიმე ათეული ახალი სასკოლო შენობა. სკოლების მშენებლობა სახსრებითა და სამშენებლო მასალებით ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. მიუხედავად ამისა, განათლების სახ. კომისარიატმა და საქალაქო საბჭოებმა პირველ კვარტალში სათანადო მუშაობა არ გაშალეს. თბილისში პროექტები ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული და მიწის ნაკვეთების გამოყოფა თვეობით გაჭიანურდა. ქუთაისში სკოლისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას მთელი პირველი კვარტალი მოუნდა!

„საქმშენი“, რომელსაც გადაცემული აქვს ქალაქებში სკოლების მშენებლობის საქმე, გორსა და ხაშურში მშენებლობას მხოლოდ აპრილში შეუდგა, მანამდე კი მთელი თვე დაჰკარგა იმაზე, რომ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა გაედიდებინა, და სასკოლო მშენებლობისათვის საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ მიღებული ღირებულების ნორმები დაერღვია.

თბილისის კომუნალური მეურნეობის პირველი კვარტალის მშენებლობის გეგმა შესრულებულია 57,8 პროცენტით, რაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. განსაკუთრებით ჩამორჩება საბინაო მშენებლობა. თბილისის საბინაო კოოპერაციამ პირველ კვარტალში მშენებლობისათვის მიცემული თანხები მხოლოდ 8 პროცენტით აითვისა, ორი თვე მოუნდა მშენებლობის დაწყების „გაფორმებას“!

ცუდად მიმდინარეობს ქალაქებსა და რაიონებში წყალსადენების, ბინების, სასტუმროების, აბანოების და სხვ. მშენებლობა. საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატი სუსტად ახორციელებს რაიონების კომუნალური მშენებლობის პრაქტიკულ ხელმძღვანელობას.

ჩამორჩენილია მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატიც, რომელმაც პირველი კვარტალისათვის მშენებლობის გეგმა 60 პროცენტით შეასრულა. ხელოვნების დარგში (კინო, თეატრები) კვარტალის გეგმა შესრულებულია 48 პროცენტით. ძალიან ჭიანურდება ახალი კინოთეატრების მშენებლობა. ჭიათურაში, ქ. მახარაძეს და ლენინგორში.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა ორგანიზაციებმა მხოლოდ 23 პროცენტით შეასრულეს მშენებლობის გეგმა. განსაკუთრებულ ჩამორჩენას აქვს ადგილი მეცხოველეობის ტრესტში, სადაც პირველ კვარტალში მშენებლობა სრულიად არ დაუწყიათ. წყალთა მეურნეობის დარგში პირველ კვარტალში გამოყოფილი თანხების მეხუთედიც კი არ არის ათვისებული. ძლიერ აგვიანდება ექსპლოატაციაში შირაქის წყალსადენის გაშვებას.

მშენებლობის კვარტალური გეგმის შესრულების ჩაშლა მხოლოდ-დამხოლოდ იმით აიხსნება, რომ სამეურნეო ორგანიზაციები მშენებლობის საქმეს ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ, სისტემატურად ვერ ამოწმებენ ცალკეულ მშენებლობათა მსვლელობას, მხოლოდ „აპირებენ“ მესამე კვარტალში მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. ვერ ხელმძღვანელობენ სტახანოვურ მოძრაობას, ვერ იღებენ გადამჭრელ ზომებს მშენებლობაში კუსტარული მეთოდების აღმოსაფხვრელად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გასული წლის 11 თებერვლის დადგენილებით დასმული იყო მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფდა მშენებლობის საქმის გაუმჯობესებას და მშენებლობის გაიაფებას. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა ვერ გაშალეს ბოლშევიკური ბრძოლა ამ დადგენილების განხორციელებისათვის, და პირველ კვარტალში მშენებლობის გეგმის შესრულება სამარცხვინოდ ჩამორჩა.

რა უნდა ეწოდოს ამას, თუ არა ოპორტუნისტულ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტებისადმი.

ასეთი დამოკიდებულება, ასეთი განწყობილება ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას მშენებლობის პრაქტიკაში.

მშენებლობის საქმეში მკვეთრი გარდატეხა უნდა მოხდეს!

## საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი

**მოსკოვი**, 14 აპრილი (საქდესი). 13 აპრილს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დააწესა მოსკოვის საოლქო პარტიული კონფერენციის წარმომადგენლობის ნორმები, მოწვევის ვადა და დღის წესრიგი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი საკ. კ. პ. (ბ) პუშკინოსა და შაცკის რაიონულ ორგანიზაციებში საკ. კ. პ. (ბ) ახალი წევრების მიღების შესახებ. თავის დროზე გამოტანილი იყო საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, რომლითაც იკრძალებოდა პარტიაში მიღება ამ რაიონების ორგანიზაციებში იქ პარტიულ-მასობრივ მუშაობის სუსტ დაყენებასთან დაკავშირებით. გაითვალისწინა რა პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება ამ რაიონებში, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა ნება დართო საკ. კ. პ. (ბ) პუშკინოს და შაცკის ორგანიზაციებს განაახლონ საკ. კ. პ. (ბ) ახალი წევრების მიღება.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ნ. ა. **შჩუკინი**.

## საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

**მოსკოვი**, 14 აპრილი (საქდესი). 13 აპრილს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კონფერენციის მოწვევის საკითხი და დაამტკიცა კონფერენციის წარმომადგენლობის ნორმები, მოწვევის ვადა და დღისწესრიგი.

პლენუმმა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ა. ნ **ბოგომოლოვი**.

◇ ◇ ◇

## ამხ. პოტიომკინი მოსკოვს გამოემგზავრა

**პარიზი**, 14 აპრილი (საქდესი). გუშინ საღამოს თავისი მეუღლით მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პოტიომკინი. გაცილება განსაკუთრებით გულთბილი იყო. გაცილებაში მრავალი ხალხი იღებდა მონაწილეობას. გასაცილებლად მოვიდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტის და მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ანრი სელიე და სენატორი პოლ ბონკური, საგარეო საქმეთა სამინისტროს კაბინეტის უფროსი როში, დიპლომატიური კორპუსის ბევრი წარმომადგენელი. მოვიდა აგრეთვე პოლიტიკური წრეების, ხელოვნებისა და სამხედრო წრეების მრავალი წარმომადგენელი და საბჭოთა კოლონია პარიზში სრული შემადგენლობით.

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

# 1937 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკოს კონტრაქტაცია

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დააწესა შემდეგი გეგმა 1937 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკოს სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციისა კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებთან (არაგანზოგადოებულ ფართობზე) და ერთპიროვნულ მეურნეობებთან სსრ კავშირში:

| | | |
|---|---|---|
| ყვითელი თამბაქო | 66.752 ტონა | და 85.550 ჰექტარის დარგვა. |
| სიგარისა და ამერიკული თამბაქო | 4.135 ტონა | და 3.850 ჰექტარის დარგვა. |
| ბაკუნი | 3.500 ტონა | და 2.500 ჰექტარის დარგვა. |
| წეკო | 149.135 ტონა | და 106.800 ჰექტარის დარგვა. |

1937 წლისათვის რჩება საკონტრაქტაციო ფულადი ავანსების ის რაოდენობა, გაცემის ვადები და დაფარვის პირობები, რაც მოქმედებდა 1936 წელს.

კონტრაქტაციის დამტკიცებული სახელმწიფო გეგმის გადამეტებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ ჩაბარებული 1937 წლის მოსავლის თამბაქოს, ბაკუნისა და წეკოსათვის რჩება პრემია-წანამატის გაცემა, გათვალისწინებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის 23 აპრილის დადგენილებით, ამასთან შემოღებულია პრემია-წანამატის გაცემის შემდეგი წესი:

### ა) ყვითელ თამბაქოზე:

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით 50 კილოგრამამდე 1 ჰექტარზე — გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ თვითეულ კილოგრამში ეძლევათ პრემია-წანამატი არსებული დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით;

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით 50-დან 100 კილოგრამამდე 1 ჰექტარზე — გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ პირველ 50 კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ-დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით, ხოლო გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ თვითეულ შემდგომ კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ დამზადებითი ფასის 100 პროცენტის რაოდენობით;

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით 100-დან 150 კილოგრამამდე ერთ ჰექტარზე — პრემია-წანამატი გეგმის გადამეტებით ჩაბარებულ პირველ 50 კილოგრამში ეძლევათ დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით, მეორე 50 კილოგრამში — 100 პროცენტის რაოდენობით და 100 კილოგრამის გადამეტებით თვითეულ შემდგომ კილოგრამში — 150 პროცენტის რაოდენობით;

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია უფრო მეტად, ვიდრე 150 კილოგრამით ჰექტარზე — გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ პირველ 50 კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ არსებული დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით, მეორე 50 კილოგრამში — 100 პროცენტის რაოდენობით, მესამე 50 კილოგრამში — 150 პროცენტის რაოდენობით და 150 კილოგრამის გადამეტებით თვითეულ შემდგომ კილოგრამში — 200 პროცენტის რაოდენობით.

### ბ) სიგარის თამბაქოსა, ბაკუნსა და წეკოზე.

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია 100 კილოგრამამდე 1 ჰექტარზე, გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებული თვითეულ კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით;

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით 100-დან 200 კილოგრამამდე ჰექტარზე — გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ პირველ 100 კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით და ჰექტარზე გეგმის გადამეტებით ჩაბარებულ თვითეულ შემდგომ კილოგრამში — 75 პროცენტის რაოდენობით;

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით 200-დან 300 კილოგრამამდე 1 ჰექტარზე, გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ პირველ ასეულ კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით, მეორე ასეულ კილოგრამში — 75 პროცენტის რაოდენობით და 200 კილოგრამის გადამეტებით თვითეულ შემდგომ კილოგრამში — 100 პროცენტის რაოდენობით;

როცა ჩაბარების გეგმა შესრულებულია უფრო მეტად, ვიდრე 300 კილოგრამი ჰექტარზე — გეგმის გადამეტებით ჰექტარზე ჩაბარებულ პირველ ასეულ კილოგრამში პრემია-წანამატი ეძლევათ არსებული დამზადებითი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით, მეორე ასეულ კილოგრამში — 75 პროცენტის რაოდენობით, მესამე ასეულ კილოგრამში — 100 პროცენტის რაოდენობით და 300 კილოგრამის გადამეტებით თვითეულ შემდგომ კილოგრამში — 125 პროცენტის რაოდენობით.

ერთპიროვნულ მეურნეობებს პრემია-წანამატი სახელმწიფოსათვის 1937 წლის მოსავლის თამბაქოს, ბაკუნისა და წეკოს ჩაბარების (კონტრაქტაციით) გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ეძლევათ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებისათვის დაწესებული პრემია-წანამატის 50 პროცენტის რაოდენობით.

# ესპანეთის ფრონტებზე

## რესპუბლიკის ჯარის ნაწილები ფუენტე ოვეხუნიდან ერთი კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან

**პარიზი**, 14 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელიც 13 აპრილს საღამოს გამოქვეყნდა. ცნობაში ნათქვამია: „ცენტრალურ ფრონტზე ყველა სექტორში დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. სწარმოებდა სუსტი სროლა, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. უკანასკნელი დღეების მძიმე დამარცხების შემდეგ მოწინააღმდეგე არავითარ აქტივობას არ იჩენს, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებმა მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს. რესპუბლიკელები ინარჩუნებენ ინიციატივას. მთავრობის ნაწილები ამაგრებენ დაპყრობილ პოზიციებს ისე, რომ მოწინააღმდეგე მათ სრულიად ვერ უშლის ხელს. მეამბოხეთა რამდენიმე ჯარისკაცი რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოვიდა“.

ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, რესპუბლიკის ჯარებმა 13 აპრილს დაიკავეს გორდო დე კასტილიეხოსის მაღლობები, რომლებიც ფუენტე ოვეხუნის რკინიგზის სადგურს დაჰყურებენ. რესპუბლიკის ჯარის ნაწილები ფუენტე ოვეხუნიდან ერთი კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან.

პენიაროიას სექტორში მთავრობის ჯარებმა დაიკავეს სიმაღლე, რომელიც ანკონოკოსილიას მთაგრეხილებს დაჰყურებს. რესპუბლიკელებმა ტყვედ წამოიყვანეს 35 კაცი, ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიამფრქვევი დ ხელის ტყვიამფრქვევი.

ესპანეთის რესპუბლიკურმა ავი ციამ, უაღრესად არახელსაყრელ ატმოსფერული პირობების მიუხედ ვად, გუშინ მნიშვნელოვანი აქტი ბა გამოიჩინა. რესპუბლიკელ თვითმფრინავები გუშინ ყუმბარ უშენდნენ სოფელ არისის, აგრეთ არისის რკინიგზის ვაგზალს. ამ ს ფელს მეამბოხეებისათვის დი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვ

მანდაიონის გზაზე (გვადალა რის პროვინციაში), რესპუბლიკ თა თვითმფრინავებმა ყუმბარ დაუშინეს მეამბოხეთა 8 ტანკს 30 სატვირთო მანქანას. რამდენ ტანკი და სატვირთო მანქანა ყუმ რებმა სავსებით მოსპე.

## მთავრობის ჯარების შეტევა

**პარიზი**, 13 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დღეს მადრიდში ადრე დილიდანვე ისმოდა მძიმე კანონადა, განსაკუთრებით კაზა დელ კამპოს რაიონში. მთელ ღამეს გაფთრებული ბრძოლები იყო საუნივერსიტეტო უბნისა და აგილის ბორცვის გარშემო.

ჰავასის სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ რესპუბლიკურმა ჯარებმა დაიწყეს შეტევა სოტო დე ლოს ანხელესის მიმართულებით და წაიწიეს წინ 3 კილომეტრით, დაიკავეს რა ელექტროსადგური და კიდევ ორი პუნქტი, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

## გენერალ მიახას მიმართვა მეამბოხეებისადმი

**პარიზი**, 13 აპრილი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა მიახამ საუნივერსიტეტო უბანში ალყაშემორტყმულ მეამბოხეებს მიმართა რადიო სიტყვით. „ესპანეთის კანონიერი მთავრობა, — სთქვა გენერალმა მიახამ, — აცხადებს, რომ ყველა მეთაურს, ოფიცერსა და ჯარისკაცს, რომლებიც ნანობენ იმას, რომ იარაღით ხელში გამოვიდნენ რესპუბლიკის წინააღმდეგ, ეპატიება დანაშაული“.

◇ ◇ ◇

## ბოლდუინის განცხადების შეფასება ოპოზიციური პრესის მიერ

**ლონდონი**, 13 აპრილი (საქდესი). ბოლდუინის გუშინდელ განცხადებასთან დაკავშირებით ინგლისის გემთა ბილბაოში შესვლის საკითხის შესახებ ლეიბორისტთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ შეიტანა რეზოლუცია, რომელიც ჰგმობს მთავრობის მოქმედებას. ამ რეზოლუციას თემთა პალატა ხვალ განიხილავს. რეზოლუციაში ნათქვამია: „თემთა პალატა ღებულობს რა მხედველობაში პრემიერის განცხადებას ბილბაოს მდგომარეობის შესახებ, მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მთავრობამ უარი სთქვა მფარველობა აღმოუჩინოს ინგლისის იმ სავაჭრო გემებს, რომელნიც კანონიერ ფუნქციებს ასრულებენ“.

ოპოზიციური პრესა მკაცრად აკრიტიკებს მთავრობის გადაწყვეტილებას — არ აღმოუჩინოს მფარველობა ინგლისის სავაჭრო გემებს სამმაილიანი ზონის შიგნით. „ნიუს ქრონიკლი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის პოლიტიკა ჩაურევლობის საკითხში პრაქტიკულად კვლავ მეამბოხეთა დახმარებად გამოიხატა.

„დეილი ჰერალდის“ სიტყვით, ბოლდუინის განცხადება ნიშნავს, რომ ინგლისის გემებს მფარველობას გაუწევენ მხოლოდ იქ, სადაც ეს უხერხული არ იქნება მეამბოხეებისათვის. „ნიუს ქრონიკლი“ სწერს ინგლისის პრესტიჟის დაცემის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად.

„მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება უდრის მეამბოხეების მიერ ბილბაოს ბლოკადის დე-ფაქტო აღიარებას.

◇ ◇ ◇

## სასურსათო მდგომარეობის გაუარესება გერმანიაში

**ბერლინი**, 13 აპრილი (საქდესი). („პრავდის“ საკ. კორ.). დღეს ფაშისტ ხელისუფალთა განკარგულებით ყველა საწარმოს, რომელნიც კი პურს აცხობენ და საკონდიტრო და ფქვილის ნაწარმთ ამზადებენ, აეკრძალათ დასდონ ხელშეკრულებანი მყიდველებთან 4 კვირაზე მეტი ვადით. აკრძალულია იქონიონ საწყობებში ფქვილის მარაგი უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე საჭიროა 3 კვირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გაუარესებულია ხორბლის ფქვილის ხარისხი, მომატებულია ზოგიერთი ხარისხის ფქვილის ფასები და სხვ.

ყველა ეს ღონისძიება აიხსნება მისწრაფებით, რომ, სასურსათო მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, უზრუნველჰყონ მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება პურით.

**ა. კლიმოვი.**

## ცხარე ბრძოლა კორდოვის ფრონტზე

**პარიზი**, 13 აპრილი (საქდესი). სააგენტო ესპანი იუწყება, რომ კორდოვის ფრონტზე პენიაროიის სექტორში, ცხარე ბრძოლა სწარმოებს. რესპუბლიკელები მიუახლოვდნენ ფუენტა ოვეხუნას.

## ფრანკოს სამხედრო ღამარცხებანი

**პარიზი**, 13 აპრილი (საქდესი). („პრავდის“ საკ. კორ.). „ენფორმასიონის“ სააგენტო ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ მოსალოდნელ ცვლილებებზე ესპანელ მეამბოხეთა ბანაკში. ამ ცნობებით, ფრანკოს განზრახული აქვს ხელი აიღოს სამარი მოქმედების ხელმძღვანელობაზე და დასჯერდეს „სახელმწიფო-პოლიტიკურ საკითხებს“.

ეს ხმები მომდინარეობს ბერლინიდან. როგორც ეტყობა, საქმეში ჩაერიენ გერმანელი ფაშისტები. „ენფორმასიონის“ სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ცვლილებას სარდლობაში „დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან რომში“.

**ნ. მაიორსკი.**

◇

## პარტიზანული მოძრაობა მანჯურიაში

**ტოკიო**, 13 აპრილი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 10 აპრილს ქალაქ ხუანიანჯენის (ლუნძიანის პროვინცია) აღმოსავლეთით 100 კილომეტრის მანძილზე მოხდა ბრძოლა პარტიზანთა რაზმსა და იაპონელთა დამსჯელ რაზმს შორის. პარტიზანთა რაზმი 2 ათასამდე მებრძოლისაგან შესდგებოდა და შეიარაღებული იყო ტყვიამფრქვევებით. იაპონელთა რაზმს ბრძოლის შედეგად მოუკლეს ერთი ოფიცერი, უნტეროფიცერი და ჯარისკაცი.

## ავარია ჰაერში

**რომი**, 13 აპრილი (საქდესი). როგორც იტალიის პრესა იუწყება, ორი ყუმბარმტყორცნი, რომელიც ფორლის აეროპორტიდან გამოვიდა, ერთმანეთს დაეჯახა ჰაერში. ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟი, რომელიც 8 კაცისაგან შესდგებოდა, დაიღუპა.



ამხ. ი. ა. ხალეპსკი
სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი
ფოტო „სოიუზფოტოსი“

# ჩვენი ბრძოლა მანამდე არ დამთავრდება სანამ ხალხი არ გაიმარჯვებს

ესპანიის რესპუბლიკის მე-6|ნაში ლეგალური გზით თამაშობ

ხმრეწვავაჭრობის მაღაზიის გამყიდველი მესხიშვილი უმე ემთხვევაში არ ხმარობს მეტრს, მხმარებელს ფართალს უზო უბრალო გათლილი ფიცრის ლებით. როდესაც მომხმარებე ხ. დავლიანიძე შეეკითხა — მ არღვევ სავაჭრო დისციპლი მესხიშვილმა ურცხვად უპა „მეტრი ფულის ქვეშ არის ეულიო“.

ნაური პასუხია. მეტრი როგორ არა ფულით ისე, რომ მესხი მა ვერ შესძლო მისი გამოლე

ილკვებვაჭრობის პურის მაღა № 35 გამყიდველი ნიკოლოზ ლურია სისტემატურად ატყუებს ში მომხმარებლებს. მუშა მირა ავიჩოვს ორ კილოში 400 გრამი და ო. ნ. თოფურია მომხმარებლებს თავაზიანად ეპყრობა, ლანძღვა ლება სავალდებულოდ მიაჩნია.

ორის რაიკავშირმა გამყიდველ ო პოლოსოვს თბილისის ბაზა გასაყიდად 2.460 კილო ვაშლი ატანა. პოლოსოვს ფაქტურის ახმად სამი ხარისხის ვაშლი უნ ყიდნა კილო 1-50 კ. 1-20 კ. ე მანეთად, მაგრამ მტკიცე ფასი ღვია და, ხარისხის მიუხედავად, ო ორ მანეთად გაჰყიდა.

მორკვევით დადასტურდა, რომ ოსოვს ზედმეტ ფასში გაყიდუ ჰქონდა 1.500 კილოზე მეტი.

ლები, რომელნიც თავს კოლმეურნეებად ასაღებდნენ მათ სოფელ თეზეთიდან (კასპის რაიონი) ჩამოსულ კოლმეურნეს ვ. ოთიაშვილს გამოართვეს 120 კილო სიმინდის ფქვილი და გაორკეცებულ ფასებში დაუწყეს გაყიდვა.

თბილმრეწვავაჭრობის მაღაზიის (117) სექციონერი ჩეზგიშვილი და გამყიდველი აკოფოვი ხელს უწყობენ და ამარაგებენ გადამყიდველებს. გადამყიდველ მასიან სადაევს მალულად მისცეს 28 წყვილი ქალის აბრეშუმის ჩულქი. დახლის ქვეშ აღმოაჩნდათ 300 ცალი კოჭის ძაფი და უფაქტუროდ 20 წყვილი ჩულქი სადაევისათვის გადასაცემად.

თბილმრეწვავაჭრობის ინსპექტორი ლევან ჯაფარიძე, ნაცვლად იმისა, რომ ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს სავაჭროებს და გამოამზეუროს მათი ნაკლოვანებანი, თვითონ ვარდება კომბინატორულ ჭაობში. ჯაფარიძემ ამ რამდენიმე დღის წინათ საკოლმეურნეო ბაზარში მწვანილის გადამყიდველს ვინმე შამილაშვილს გამოართვა 30 მანეთი ქრთამი და აღუთქვა, რომ ხელს არავინ ახლებდა. ეს გვიჩვენებს, რომ თბილმრეწვავაჭრობის ზოგიერთი მუშაკი არა თუ ებრძვის სპეკულანტ გადამყიდველებს, არამედ კავშირს ამყარებს მათთან.

ას რესპუ **ორაშვილი.**

მასალის დროულად წაღება.

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. მ. ა. ჩერნოვმა მთავრობის დავალების შესრულებისადმი ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამო სამართალში მისცა მორდვის ასს რესპუბლიკის ზუბოვ-პოლიანის მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორი ტეპაიკინი და ვორონეჟის ოლქის ოსტროგოჟის მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორი ნიკიტინი.

მოსკოვის ოლქის ვისოკოვის მანქანა-ტრაქტორების სადგურის დი

სახალხო კო [redacted] რომელმაც, მიუ განცალკე ლებისა, ვერ უ ოთ ბა მის ასს რესპუბლიკ ზურ კვარტალში გაღებული სა სალის ლიმიტების სრული რე ცია.

ამხ. ჩერნოვმა გაფრთხილება მი ცა სამიწათმოქმედო ორგანოთა ხელმძღვანელებს, რომ ისინი სასტიკა დაისჯებიან, თუ არ უზრუნველჰყოფენ საწვავი მასალის სრულად დ დროულად წაღებას.

◇ ◇ ◇

## საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

### მეორე ტურის შედეგები

მეორე ტური პირველზე გაცილებით უფრო მკრთალი გამოდგა. მთელი რიგი პარტიების ბედი შეცდომებმა გადასწყვიტა.

ებრალიძემ, რომელიც ამ დღეს პირველად თამაშობდა, მეტად რთული პარტია მიიღო რაგოზინთან. ორივე მოწინააღმდეგე მოხვდა ცეიტნოტში. რამოდენადმე უკეთეს მდგომარეობაში რაგოზინმა დაუშვა შეცდომა, რის შედეგად ეტლი უნდა წაეგო. მაგრამ ებრალიძემ ვერ შეამჩნია ეს და დამარცხდა.

ყაიმით დასრულდა ბელავენეც-გოგლიძის, იუდოვიჩ-რაუზერისა და კასპარიან-ლილიენტალის პარტიები.

ბევრად უკეთეს მდგომარეობაში პანოვმა კონსტანტინოპოლსკისთან უხეში შეცდომის შედეგად წააგო ლაზიერი ფიგურაში და მცირე წინააღმდეგობის შემდეგ დანებდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. მაკაგონოვს მოსაგები მდგომარეობა აქვს ალატორცევთან ბუდოს-ჩეხოვერთან. ლევენფიშ-ბონდარევსკის პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში.

ილინ-ჟენევსკის კანთან კუს ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰყავს.

ლისიცინ-რაბინოვიჩის პარტია გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩა.

აღსანიშნავია, რომ დამსწრე საზოგადოება ძალიან ხმაურობდა, რამაც ჩემპიონატის მონაწილეთა უკმაყოფილება გამოიწვია.

◇

## გეგმების შესრულება

**კასპი.** რაიონმა ხეხილის ბაღის გაშენების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გაშენებულია 124 ჰექტარი ბაღი, ნაცვლად 70 ჰექტარისა. გეგმა შესრულებულია 177 პროცენტით.

**საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ს. მინდაძე**

○

**ფოთი.** ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა შესრულებულია ვადაზე 10 დღით ადრე. 10 აპრილისათვის დარგული იყო 55 ჰექტარი, ნაცვლად 54 ჰექტრისა.

ციტრუსის დარგვა გრძელდება.

**მიწგანის გამგე მ. სესკურია**

◇ ◇ ◇

## გარდაიცვალა მწერალი ილფი

ილია არნოლდის-ძე ილფი გარდაიცვალა 13 აპრილს, 22 საათსა და 35 წუთზე ფილტვების ტუბერკულოზის მწვავე შეტევისაგან, რომელმაც გამოიწვია გულის მოქმედების დამბლა და ფილტვების შეშუპება.

# ურყევად გავატაროთ ფარული კენჭისყრის წესები!

## ყუთების ნაცვლად... ქუდები!

(წერილი ჯუღელის რაიონიდან)

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა აამოძრავა პარტიული მასები.

შინაპარტიული დემოკრატიზმის დროშით ბოლშევიკურმა პარტიამ დაიწყო დიდი და სერიოზული მუშაობა—პარტიული ორგანოების არჩევნები.

ცენტრალური კომიტეტი თავის წერილში „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“ ნათლად და მკაფიოდ მიგვითითებს, რა წესით უნდა ჩატარდეს არჩევნები.

მაგრამ ბევრ პარტორგანიზაციაში ჯერ კიდევ ხშირად უხეშად ამახინჯებენ არჩევის წესებს. ზოგს ჯერ კიდევ ვერ გაუგია ახალი არჩევნების დედაარსი. ამ მხრივ სამაგალითოა ჯუღელის რაიონის პარტორგანიზაციებში ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაგალითი. აქ სწორად ვერ შეაფასეს ცენტრალური კომიტეტის წერილი არჩევნების ორგანიზაციის შესახებ. არჩევნების დროს დაუშვეს უხეში შეცდომები. სამწუხაროდ, ამ შეცდომების „ინიციატორები“ იყვნენ თვით ჯუღელის რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები (ამხ. გაბუნია და ბუჯიაშვილი). აი რა მოხდა. ჯუღელის რაიონის მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში რაიკომის წარმომადგენელთა მითითებით არ აურჩევიათ ხმების დამთვლელები, ხმების დათვლას ანდობდნენ რაიკომის წარმომადგენელს ან ყოფილ ორგანიზატორს. მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში სათანადო ყუთების ნაცვლად ხმების მოსაგროვებლად ქუდები გამოიყენეს (!). ასეთი წესით მოეწყო არჩევნები ჯუღელის რაიონის 26 პარტორგანიზაციაში.

სამტრესტის პარტორგანიზაციის საარჩევნო კრებაზე დამთვლელ კომისიაში თვით რაიკომის მდივანი ამოირჩიეს. ასეთივე წესით მოეწყო არჩევნები სოფლსაბჭოსა და კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებში. თითქმის ყველგან ხმის დამთვლელთა კომისიებში აირჩიეს რაიკომის წარმომადგენლები და ხმის მოსაგროვებლად სათანადო დალუქული ყუთების ნაცვლად გამოიყენეს ქუდები.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჯუღელის რაიონის პარტორგანიზაციები სუსტად იცნობენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს, არჩევნების ჩატარების დროს ნაკლებად ხელმძღვანელობენ ცენტრალური კომიტეტის წერილით არჩევნების ორგანიზაციის შესახებ.

ამრიგად, ახალ არჩევნებს ჯუღელის რაიონის პარტორგანიზაციები მოუმზადებლად შეხვდნენ, ზოგიერთი „ტექნიკური“ მითითების უგულებელყოფის შედეგად პოლიტიკური შეცდომები დაუშვეს, უხეშად დაარღვიეს შინაპარტიული დემოკრატიზმის პრინციპი.

ჯუღელის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებს უნდა განვუმეოროთ, რომ ცენტრალური კომიტეტის წერილი „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“ წარმოადგენს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციას. უდიდესი შეცდომაა, როდესაც ამ წერილში ხედავენ მხოლოდ მომავალი არჩევნების ტექნიკური მხარე“ აღწერას. „ეს ტექნიკა კი არა, არამედ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია, რომელსაც უნდა გაეცნოს ყველა, გამოუკლებლივ ყველა კომუნისტი“.

საჭიროა შეცდომათა დაუყოვნებლივ გამოსწორება. მსგავსი დამახინჯება და პარტიის დირექტივების უგულებელყოფა მომავალში არ უნდა განმეორდეს.

**გ. კურტანიძე**

## გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

(ორჯონიკიძის რაიონი)

ორჯონიკიძის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში გაიშალა ფართო მუშაობა ძირეული პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის.

3 აპრილს შესდგა შინსახკომის ორჯონიკიძის რაიგანყოფილებასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის დახურული კრება. კრებამ მოისმინა პარტორგანიზატორის ამხ. ო. ლომსაძის საანგარიშო მოხსენება. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი; კამათში გამოვიდა 9 ამხანაგი. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პარტორგანიზაციის მუშაობა. ისინი თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ, რომ პარტორგანიზაციამ ვერ გამოიჩინა რევოლუციური სიფხიზლე, რის შედეგად ამ ბოლო დრომდე ჩვენს ორგანიზაციაში თავს აფარებდნენ პირწავარდნილი ტროცკისტები—დავით კალანდაძე და ი. ავალიანი.

პარტორგანიზაცია სუსტად იბრძვის პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის, სუსტად ხელმძღვანელობს კომკავშირის ორგანიზაციას და სათანადო სიმაღლეზე არა აქვს დაყენებული საგიტაციო მუშაობა.

კრებამ კამათის შემდეგ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი პარტორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შეუდგნენ პარტორგის არჩევას. დაასახელეს კანდიდატურები.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია დამთვლელი კომისია. ფარული კენჭისყრით პარტორგანიზატორად არჩეულ იქნა დავით ქოქოსაძე, რომელმაც მიიღო 6 ხმა, წინააღმდეგ ორისა.

ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის დახურულ კრებაზე კამათში გამოსულმა კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის მუშაობა. განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ აქ სუსტად ხელმძღვანელობდნენ კომკავშირის ორგანიზაციას, კარგად არ სწარმოებდა საგიტაციო მუშაობა, პარტორგანიზაცია არ ზრუნავდა პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

კამათში გამოსული ამხანაგები, აღნიშნავდნენ რა პარტიულ-მასობრივი მუშაობის სუსტ მხარეებს, სახავდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მისი გამოსწორებისათვის.

ორჯონიკიძის რაიონის ზოგიერთ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში უხეშად დაამახინჯეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი პარტორგანოების არჩევნებს ორგანიზაციის შესახებ.

აი ფაქტიც. არჩევნების ჩატარების წესი დაამახინჯა მარელისის სატყეო მეურნეობის პარტორგანიზაციაში. აქ კრებაზე არ წაიკითხეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მომართვა „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“ და არჩევნებისას ერთად უყარეს კენჭი როგორც პარტორგს, ისე სარაიონო პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებს.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის ბიურომ გააუქმა ამ პარტორგანიზაციაში ჩატარებული არჩევნები და დაადგინა ხელახლა მოეწყოს საანგარიშო-საარჩევნო კრება.

**დ. გაბრიაძე**

## პარტორგის მუშაობა მკაცრად გააკრიტიკეს

**ბათუმი,** 13 აპრილი (საქინფორმი). საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებისათვის მზადება სოფელ მახინჯაურში იმდენად ცუდად იყო ჩატარებული, რომ კრების დღე და საათი ორგანიზაციის თითქმის არცერთმა წევრმა არ იცოდა. კრებაზე არავინ გამოცხადებულა.

მახინჯაური ერთერთი უდიდესი სოფელია ბათუმის რაიონში. მისი მდებარეობა ბათუმის მახლობლად შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ პარტიული და საბჭოთა მუშაობა კარგად იქნეს დაყენებული. მახინჯაურის სოფლის საბჭო ახლა ყველაზე ჩამორჩენილად ითვლება რაიონში. სოფლის საბჭო თითქმის არ ეწევა ორგმასობრივ მუშაობას. ბოლო დრომდე სოფლის საბჭოს არცერთ სექციას არ ჰქონია მუშაობის გეგმა. სექციის თითქმის არცერთი წევრი არ ყოფილა დამტკიცებული სოფლის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ხოლო სექციების თავმჯდომარენი არ ყოფილან არჩეული.

ხელმეორედ მოწვეულ კრებაზე პარტორგის ამხ. ნინო სანდუხაძის ანგარიშიდან და პარტიის იმ წევრთა და კანდიდატთა გამოსვლიდან, რომელნიც კრებას დაესწრნენ, გამოირკვა, რომ პარტორგი საკმაოდ არ იცნობს თავის ორგანიზაციის კომუნისტებს. ასე, მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატი ალი თედორაძე უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში 3 ჯერ არ გამოცხადებულა პარტკრებებზე და ამავე პერიოდში სულ ერთხელ იყო პოლიტმეცადინეობაზე, ხოლო პარტორგმა ისიც კი არ იცის, თუ სად მუშაობს და ცხოვრობს თედორაძე.

კრებაზე ბევრი ილაპარაკეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ. აგიტატორები არ იცნობენ თავის აუდიტორიას, არ არიან დაინტერესებული იმით, თუ რას კითხულობენ და რა გაზეთებს იწერენ მათი მსმენელები. დღემდე არ ყოფილა ჩატარებული კოლექტიური კითხვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებებისა, ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვისა ც. კ.-ის პლენუმზე.

პარტორგი მიმაგრებულია კომკავშირულ ორგანიზაციებზე, მაგრამ კომკავშირის მიმართ ხელმძღვანელობა სუსტად ხორციელდება. პარტორგანიზაციას ერთხელაც არ მოუსმენია არც კომორგის მოხსენება, არც მიმაგრებულის მოხსენება. სუსტ მასობრივ აღმზრდელობით მუშაობას მოჰყვა ის, რომ ასეთ დიდ სოფელში მხოლოდ 1 თანამგრძნობია.

პარტიის წევრმა ამხ. ქურიძემ მკაცრად გააკრიტიკა პარტიის რაიკომის მუშაობა. მან აღნიშნა, რომ რაიკომი კრებებს ნიშნავს ტელეფონით მის დაწყებამდე ორი საათით ადრე.

—როგორც წესი, დღის წესრიგს ჩვენ მხოლოდ კრებაზე ვგებულობთ,—ამბობს ამხ. ქურიძე.

ფარული კენჭისყრით პარტორგად აირჩიეს ამხ. სანდუხაძე.

## თვითკრიტიკა არ ყოფილა გაშლილი

**ცხაკაია,** 14 აპრილი (საქინფორმი). საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე სოფ. ნოქალაქევის პირველადს პარტორგანიზაციაში პარტორგ ამხ. გამსახურდიას ანგარიშის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო კრებაზე დამსწრე ყველა კომუნისტმა.

გამოსული ამხანაგები ილორიონ შელია, კონდრატი კორძახია, გაბედავა ლაპარაკობდნენ პარტორგანიზაციის სუსტ მუშაობაზე.

სოფლის საბჭოს პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობს. იგი არ აქცევს ყურადღებას ქოხ-სამკითხველოს მუშაობას, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას და სხვ.

— ჩვენს პარტორგანიზაციაში,—სთქვა პარტიის წევრმა ამხ. პ. ზარქუამ,—არ ყოფილა გაშლილი თვითკრიტიკა, გამეფებული იყო შინაურულობა. ვინმეს წყენის შიშის გამო კომუნისტები არ აკრიტიკებდნენ ცალკეული ამხანაგების მუშაობას.

კრებამ ფარული კენჭისყრით პარტორგად აირჩია კონდრატი კორძახია, რომელმაც მიიღო ხმების უმეტესობა.

## საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში

**ჩოხატაური,** 14 აპრილი (საქინფორმი). ქვემო-ერკეთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის კომუნისტებს ორ წელზე მეტია, რაც არ მოუსმენიათ თავისი პარტორგის ანგარიში მაშინ, როდესაც ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე პარტორგი გამოიცვალა.

ქვემო-ონჯიკეთის პარტორგანიზაციაში სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოიცვალა 4 პარტორგი. არცერთ მათგანს ანგარიში არ ჩაუბარებია თავის მუშაობის შესახებ. დახურულ კრებებზე იხილავდნენ ბევრ ისეთ საკითხს, რომლებიც ღია კრებაზე უნდა განხილულიყო.

ერკეთის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში მხოლოდ უკანასკნელ დროს იქნა გამომჟღავნებული პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი ბეჟან ბერიძე და გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან.

პარტიის წესდების, შინაპარტიული დემოკრატიის საფუძვლების დარღვევის, რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების ყველა ეს ფაქტი გამოაშკარავებულ იქნა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე.

## არ დავუშვათ არჩევნების წესის

...ლიძე, ლისიცინი-რაბინოვიჩი, კასპარიანი-ლილიენტალი, კონსტანტინოპოლსკი-პანოვი, ჩეხოვერი-ბუდო და ლევენფიშ-ბონდარევსკი.

მომავალში გამოვა ერთსადროს თამაშის სეანსში 350 რაკის წინააღმდეგ ჰავანაში

## პირველი ტურის შედეგები

მეათე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ტურის პარტიები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ საინტერესონი გამოდგნენ.

პირველი სვლებიდანვე აშკარა გახდა, რომ ამ ჩემპიონატში განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა სწორედ პარტიის დასაწყის ფაზაში, დებიუტში იწარმოებს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ბონდარევსკისა და მაესტრო კასპარიანის პარტია, რომელშიც უკანასკნელმა დებიუტი ძალიან ცუდად გაითამაშა და ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში. მისმა ყოველმა ცდამ დამარცხებისათვის თავი დაეღწია უნაყოფოდ ჩაიარა და შესვენებამდე იგი დანებდა მოწინააღმდეგეს.

რაუზერ—ლისიცინისა და გოგლიძე — კონსტანტინოპოლსკის პარტიები მეტად საინტერესონი სადებიუტო და მიტელშპილის (შუათამაშის) პირველ სტადიაში, ყაიმით დასრულდა.

მოსკოვის ჩემპიონმა კანმა შ მოგებული მდგომარეობა იუდ თან. ამასთანავე უკანასკნელი მო ცეიტნოტში. მიუხედავად ამისა ნის შემდგომი უყურადღებო შის გამო იუდოვიჩმა მოახერხა გურისა და შემდეგ პარტიის ბაც.

დანარჩენი პარტიები შესვენ დე არ დამთავრებულა.

ილინ-ჟენევსკის უკეთესი მდგ რეობა აქვს ალატორცევთან, ლე ფიშ—ბუდოსთან, ბელავენეც რაბინოვიჩთან. რაგოზინ — ჩეხ რისა და ლილიენტალ — მაკაგო ვის პარტიები დაახლოვებით თ სწორ მდგომარეობაშია. პანოვ ებრალიძის პარტია პირველის ავა ყოფობის გამო არ გათამაშებულ

ჩემპიონატის პირველ ტურს, ხედავად იმისა, რომ ერთგვარი განიზაციული ნაკლი ახლდა (ბი თების დაგვიანებით გაყიდვა სხვ.).

**ი. მ. კახრამანოვი**

## ვასწოროთ საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენა

1937 წლის საგაზაფხულო თესვა საქართველოს ბოლშევიკებს დიდ ამოცანებს უსახავს.

საგაზაფხულო თესვა წელს წარმოადგენს გადამწყვეტ უბანს მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე უნდა დავთესოთ 49.520 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად ფართოვდება მრავალწლიანი ბალახების ნათესები. მარცვლოვანი კულტურების ხარისხოვანი თესლით ნათესი ფართობი შარშანდელთან შედარებით ერთიორად დიდდება.

უკვე მარტო ეს ჩამოთვლა საკმაოდ სრულად ახასიათებს წლევანდელი გაზაფხულის ამოცანებს.

ამ ამოცანების გადაჭრა თვითდინებით არ შეიძლება.

მიმდინარე წლის გაზაფხულის გაზრდილი ამოცანები მოითხოვენ თესვის ნამდვილად ბოლშევიკური ხელმძღვანელობის განხორციელებას.

ხუთი ახალი მტს-ის მოწყობა, საქართველოში ტრაქტორების რაოდენობის ზრდა 34,6 პროცენტით და სატრაქტორო პარკის სიმძლავრის გადიდება 42,2 პროცენტით ყველა პირობებს ჰქმნის იმისათვის, რომ თესვა სანიმუშოდ შესრულდეს.

რაიონებს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწიათ სათესი მასალითაც.

რაიონებს სესხად მიეცათ თესლი 1050 ტონის რაოდენობით და კოლმეურნეობათა არასაკონდიციო ხორბლის გამოცვლის ხაზით 2540 ტონა.

მაგრამ საგაზაფხულო თესვის პირველმა ხუთდღიურებმა გვიჩვენეს, რომ სამიწათმოქმედო ორგანოები განაგრძობენ ძველებურად მუშაობას და მათ ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს მიმდინარე გაზაფხულის ამოცანები.

მთელ რიგ რაიონებს გაზაფხულმა მოუმზადებლებს მოუსწრო. მხოლოდ მინდვრის სამუშაოებზე გასვლის მომენტში მოაგონდათ, რომ ჯერ ყველაფერი არ გაუკეთებიათ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზებულად დაწყებისათვის.

მრავალი მტს-ის (წალკის, წერო-ზანის, ჯუღელის, ახალქალაქის) და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელებმა, იმის ნაცვლად, რომ თვით მინდვრის სამუშაოები გაეშალათ, ბევრი ხელსაყრელი დღე დაჰკარგეს თესვისათვის მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. ცუდი რემონტისა და მტს-ებში აუცილებელი სათადარიგო ნაწილების უქონლობის შედეგად ტრაქტორებმა მწყობრიდან იწყეს გამოსვლა. გაჩაღებული ხვნის დროს. ტრაქტორების ორცვლად მუშაობის მოწყობა შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ მტს-ების ბევრ დირექტორს თავის დროზე არ უზრუნია ტრაქტორისტების შერჩევასა და მომზადებაზე და ტრაქტორების განათების წესრიგში მოყვანაზე.

თავის დროზე საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმმა გააფრთხილა სამიწათმოქმედო ორგანოები მათი სუსტი მუშაობის შესახებ, მისცა მათ კონკრეტული მითითებანი, მაგრამ ფაქტები გვიჩვენებენ, რომ სამიწათმოქმედო ორგანოებმა ამ მითითებათაგან მრავალი ვერ გაიგეს და კიდევ ვერ შესძლეს თავისი მუშაობის ისე მოწყობა, რომ გამხდარიყვნენ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის კულტურული და ოპერატიული ცენტრები, ვერ შესძლეს ბოლო მოეღოთ მოუქნელობისათვის და მათ კვლავ აქვთ ბიუროკრატიული დამახინჯებანი.

სხვა არაფრით, თუ არა მოუქნელობით, კოლმეურნეობებთან სუსტი კავშირით, აგროტექნიკის არადამაკმაყოფილებლად განხორციელებით, წარმატებებით თავის დამშვიდებითა და უზრუნველობით შეიძლება აიხსნას ის ჩამორჩენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საგაზაფხულო ხვნის დასაწყისში და ახლაც აქვს ზოგიერთ რაიონში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეშვიდე პლენუმის გადაწყვეტილებამ საგაზაფხულო თესვის მდგომარეობის შესახებ, ამხ. ლ. ბერიას მითითებებმა ამ პლენუმზე და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 21 მარტის დადგენილებამ, რომლითაც განსაზღვრეს თესვაში ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებანი, უკვე მოგვცეს შედეგი. თუ 15 მარტის მდგომარეობის მიხედვით საქართველო თესვაში ჩამორჩებოდა შარშინდელ მაჩვენებლებს, 10 აპრილის ცნობებით ჩამორჩენა უკვე აღარ არის. მიმდინარე წლის 15 მარტისათვის კოლმეურნეობებში მოხნული იყო 58.777 ჰექტარით და დათესილი 13.150 ჰექტარით ნაკლები, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. მიმდინარე წლის 10 აპრილისათვის კი მოხნულია 40.561 ჰექტარით და დათესილია 39.487 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშანდელი წლის ამავე რიცხვისათვის.

ეს ციფრები და განსაკუთრებით ხვნისა და თესვის მიმდინარეობა ხუთდღიურებში 20 მარტის შემდეგ ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ რაიონებმა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ჩარევამდე არ გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი და საგაზაფხულო სამუშაოების ცუდი ორგანიზაციის გამო ძლიერ ჩამორჩებოდნენ ხვნასა და თესვაში.

ასეთივე სურათი გვაქვს თესვის მხრივაც: თუ 16-დან 20 მარტამდე დათესილი იყო 48.657 ჰექტარი, შემდგომ ხუთდღიურში დაითესა 63.528 ჰექტარი, ნაცვლად შარშანდელი 33.000-ისა ამავე ხუთდღიურისათვის.

მაგრამ ხვნისა და თესვის მიმდინარეობა მაინც ისევ არადამაკმაყოფილებელია. 10 აპრილისათვის მოხნულია გეგმის მხოლოდ 75,0 პროც. და დათესილია 22,9 პროცენტი.

მთელმა რიგმა რაიონებმა უკვე გაუშვეს საგაზაფხულო თავთავიანთა თესვის მათთვის დაწესებული ვადები.

ასეთ რაიონებს ეკუთვნიან, პირველ რიგში, გორის, რომელმაც თავთავიანები 10 აპრილისათვის დასთესა გეგმის მხოლოდ 58,4 პროც., ბორჩალოს—60,5, ხაშურის —83,8, კასპის—86,6, ცაგერის — 57,8, ამბროლაურის—33,9, ონის— 21,6, მაშინ როდესაც ამ რაიონებს თავთავიანი მარცვლეულის თესვა უკვე 5-10 აპრილისათვის მთლიანად უნდა მოეთავებინათ.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებული მთელი რიგი სამუშაოები, რომლებიც თამაშობენ დიდ როლს მოსავლიანობის აწევის საქმეში.

ნაკელის გატანის გეგმა 5 აპრილისათვის შესრულებულია 55,6 პროცენტით, გატანილია სულ 1.501 ურემი. თესლი შეწამლულია 45 პროც., ხოლო ტრიერით გაწმენდილია 96,8 პროც.

საშემოდგომო თავთავიან მარცვლეულთა საგაზაფხულო ფარცხვა 284.758 ჰექტარ ფართობიდან გატარებულია მხოლოდ 77,437 ჰექტარზე.

მიუხედავად სატრაქტორო პარკის სიმძლავრის მნიშვნელოვანი გადიდებისა, მთელი რიგი მტს-ების ხელმძღვანელებმა არ გააკეთეს საჭირო დასკვნები თავისი მუშაობის ჩაშლიდან გასულ წელს და კვლავ ცუდად მუშაობენ.

ნაცვლად იმისა, რომ 1937 წელს მდგომარეობა უკეთესი ყოფილიყო, უკეთ მოეწყოთ საგაზაფხულო თესვა, ჩვენ ვხედავთ ჩამორჩენას სატრაქტორო სამუშაოების შესრულებაში გასულ წელთან შედარებითაც კი: თუ შარშან 10 აპრილისათვის საგაზაფხულო ხვნის გეგმა საქართველოს მტს-ებმა შეასრულეს 87,6 პროცენტით, წელს ამავე რიცხვისათვის შესრულებულია 81,7 პროც. სატრაქტორო სამუშაოთა მთელ მოცულობას რბილად ხვნაზე თუ გადავიყვანთ, შარშან მტს-ებმა გეგმა შეასრულეს 67,8 პროც., ხოლო მიმდინარე წელს ამავე რიცხვისათვის (10 აპრილი) გეგმა შესრულებულია 58,9 პროც.

ძლიერ ჩამორჩება საგაზაფხულო სამუშაოები ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დარგშიც. უკვე ჩაშლილია ვადები მთელი რიგი სამუშაოებისა, რომლებიც 1 აპრილისათვის უნდა დამთავრებულიყო. ჩაის თესვის გეგმა 10 აპრილისათვის შესრულებულია 99,0 პროც., ნაცვლად გასული წლის 129,5 პროც.; პლანტაციის აღდგენა 85,2 პროც., ნაცვლად 1936 წ. 96,2 პროც.; მიმდინარე რემონტი შესრულებულია 88,3 პროც., ნაცვლად 213,2 პროც., ხოლო ნაკელის შეტანის გეგმა შესრულებულია სულ 82,3 პროც.; ციტრუსოვანი კულტურებისათვის ნაკელი დამზადებულია 93,4 პროც., (ამ სამუშაოს დამთავრების ვადა იყო 15 მარტი), ხოლო ციტრუსოვანთა წამლობა მწუწნავი მავნებლების წინააღმდეგ შესრულებულია 59.2 პროც.

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დარგში ძლიერ ჩამორჩებიან მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონები, აგრეთვე აჭარა და აფხაზეთი.

ამ ჩამორჩენილ რაიონებს და მტს-ებს, როგორც გვიჩვენა ხვნისა და თესვის გამოცდილებამ საქართველოს ბევრ რაიონში, რომლებმაც ძლიერ წაიწიეს წინ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ჩარევის შემდეგ, ყველა შესაძლებლობა აქვთ სწრაფად აღმოფხვრან სამარცხვინო ჩამორჩენა და ზიანი არ მიაყენონ 1937 წ. მოსავალს.

ამისათვის აუცილებელია უწინარეს ყოვლისა ბრძოლა უზრუნველობისა, გულდამშვიდებისა და უდარდელობის წინააღმდეგ, საგაზაფხულო თესვის თვითეული უბნის მოქნილი ოპერატიული ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

აუცილებელია, როგორც ეს მითითებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებაში და რაც მთელ რიგ რაიონებს ჯერ კიდევ მთლიანად არ შეუსრულებიათ, მოეწყოს მტს-ებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყველა ტრაქტორის შეუფერხებელი მუშაობა ორ ცვლად; მინდვრის სამუშაოებზე გამოყვანილ იქნას მთელი ცოცხალი გამწევი ძალა, უზრუნველყოფილ იქნას მუშა-პირუტყვის გაძლიერებული კვება და მოვლა; მუშაობის ყოველდღიური გეგმის შედგენა თვითეული ტრაქტორისა და გუთნისათვის; ყოველ ჩამორჩენილ უბანზე ისეთი მუშაკების მიმაგრება, რომელთაც შესწევთ უნარი აღმოფხვრან ჩამორჩენა.

საჭიროა ავამაღლოთ პარტიის რაიონული კომიტეტების პარტიული პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მდგომარეობისა და მათი მუშაობისათვის, ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ ამხანაგი სტალინის მითითება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელ პლენუმზე იმის შესახებ, რომ „პარტიულ ორგანიზაციებს დასჭირდებათ შემდეგშიც, განსაზღვრული მოკლე ვადით უშუალოდ მოჰკიდონ ხელი სასოფლო-სამეურნეო საქმეებს ყველა მათი წვრილმანით, ხვნით, თესვით, მოსავლის აღებით და სხვ.“.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ამოცანები არ ამოიწურება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს მსვლელობაში ც. კ-ის ჩარევის შემდეგ მიღწეული ერთგვარი გარდატეხით. საჭიროა გავაფრთხილოთ ამხანაგები, რომელთაც უკვე აღძრათ სურვილი ასტეხონ ხმაურობა მიღწევების შესახებ, საჭიროა უკუვაგდოთ თვითდამშვიდებისა და უდარდელობის განწყობილება და სამუშაოები მოვაწყოთ ისე, რომ უახლოეს დღეებში დავფაროთ ის დანაკლისი, რაც გამოიწვია მინდვრის სამუშაოების შეჩერებამ უკანასკნელი წვიმების გამო, და გამოვასწოროთ ჩამორჩენა უკლებლივ ყველა უბანზე.

◆

# დადგენილება

## სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

მოისმინა და განიხილა რა მასალები რაიაღმასკომებსა და სასოფლო საბჭოებში საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების გატარების შესახებ, სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების უხეშ დარღვევებს ჯუღელის, ჭიათურის, ლანჩხუთის, გორის, ბორჯომის, ბორჩალოს, ყარაიას, ლუქსემბურგის რაიონებში:

1. რაიაღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების წევრთა გამოყვანითა და კოოპტირებით საბჭოთა დემოკრატიის მთელ რიგ უხეშ და ბიუროკრატიულ დამახინჯებებს.

2. რაიაღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმების შემადგენლობაში არა დეპუტატების კოოპტირებას (გორის, ჯუღელის, ლანჩხუთის, ყარაიის, ლუქსემბურგის და სხვა რაიონებში).

3. რაიაღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმების სხდომების ჩატარებას წევრთა მცირე დასწრებით (ჭიათურის, გორის, ყარაიას და ლუქსემბურგის რაიონებში).

4. ყარაიის რაიაღმასკომს 1935-36 წლის განმავლობაში სრულიად არ მოუწვევია აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის სხდომა, 1936 წლის განმავლობაში მოწვეული აქვს მხოლოდ პრეზიდიუმის 7 სხდომა. შეკითხვითი წესით გაფორმებულია 117 „სხდომის“ ოქმი. 1937 წლის განმავლობაში რაიაღმასკომის პრეზიდიუმი მოწვეულია მხოლოდ 4-ჯერ, ხოლო შეკითხვითი წესით — პრეზიდიუმის 49 „სხდომა“. ასევე უხეშად ამახინჯებდნენ საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს ჯუღელის რაიაღმასკომი და მეჯვრისხევის (გორის რაიონი) სასოფლო საბჭო.

5. უხეშად ირღვეოდა საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპები სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეთა ხშირი ცვალებადობითა და შეცვლით, მათ მიერ ანგარიშის ჩაუბარებლობით სასოფლო საბჭოს პლენუმებისა და ამომრჩევლების წინაშე. მიორე სვირის სასოფლო საბჭოში (ჯუღელის რაიონი) 1935—36 წელს შეცვლილია სასოფლო საბჭოს 3 თავ-რე, ბოლნის კაპანახჩის სასოფლო საბჭოში (ლუქსემბურგის რაიონი) 1935—36 წელს შეცვლილია 9 თავ-რე.

6. უხეშად მახინჯდებოდა სასოფლო საბჭოების თავ-რეთა განთავისუფლებისა და წამოყენების წესი, მათ ნიშნავდნენ და ხსნიდნენ ამომრჩევლების დაუკითხავად (ლანჩხუთის რაიაღმასკომი).

7. არღვევდნენ სასოფლო საბჭოების მასობრივი ორგანოების (სექციები, სადეპუტატო ჯგუფები) ხელმძღვანელთა არჩევის წესს მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოში (გორის რაიონი), ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში (ხაშურის რაიონი) და ყვიბისის სასოფლო საბჭოში (ბორჯომის რაიონი).

საქ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დაუშვებლად სთვლის რაიონული აღმასრულებელ კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების მიერ საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების დამახინჯებას, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ მთელი რიგი აღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ანგარიშს არ უწევდნენ ამომრჩევლებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამომრჩეველთა უფლებებს და მოთხოვნილებებს, მათ მიივიწყეს საორგანიზაციო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აუცილებლობა.

ამასთან ერთად ყველა ზემოხსენებული უხეში დამახინჯება გაშუქებულია რაიაღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების მუშაობაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის არასაკმარისად გაშლით.

**საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:**

1. წინადადება მიეცეთ ყველა რაიაღმასკომისა და სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმებს დაუყოვნებლივ გადასინჯონ თავიანთ პლენუმებზე რაიაღმასკომების პრეზიდიუმის, პლენუმების, სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის და პლენუმების წევრთა, არასწორად გამოყვანილთა და კოოპტირებულთა შემადგენლობა და გააუქმონ რაიაღმასკომის პლენუმის და სასოფლო საბჭოების პლენუმის არასწორი დადგენილებანი საბჭოს და რაიაღმასკომის პლენუმებში საბჭოს არაწევრთა კოოპტირების შესახებ.

2. წინადადება მიეცეთ ყველა რაიაღმასკომის პრეზიდიუმებს, რათა აღკვეთონ შეკითხვის წესით საკითხების გატარების პრაქტიკა და პრეზიდიუმის მუშაობაში დაამყარონ სრული წესრიგი.

3. წინადადება მიეცეთ რაიაღმასკომებს, რათა პრეზიდიუმისა და პლენუმების სხდომების მოწვევის წინ პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრებს დროულად აცნობონ სხდომის დრო და საკითხები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას წევრთა აქტიური მონაწილეობა პრეზიდიუმის და პლენუმის მუშაობაში.

4. წინადადება მიეცეთ რაიაღმასკომებს პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა და სასოფლო საბჭოების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე (სასოფლო საბჭოს წევრებმა არა ნაკლებ, ვიდრე 3 თვეში ერთხელ, სასოფლო საბჭოებმა კი არა ნაკლებ, ვიდრე 6 თვეში ერთხელ).

5. წინადადება მიეცეთ რაიაღმასკომებს უახლოეს ხანში მოიწვიონ რაიაღმასკომის პლენუმი და ფართოდ დაამუშაონ აღნიშნული დადგენილება.

6. დაევალოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას შეამოწმოს აღნიშნული დადგენილების რეალიზაცია 1 ივნისისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
**ფ. მახარაძე**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
**თ. ჟღენტი**

1937 წ. აპრილის 5.

◇

## ხეხილისა და ვაზის სამუშაოები

მიწსახკომის 10 აპრილის ცნობებით

| რაიონები | ხეხილის სანერგის გაშენება | | ვენახის გაშენება | | ამერიკული ვაზის სადედის გაშენება | | ვაზის მყნობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა ჰექტარობით | შესრულებ. პროც-ბით | გეგმა ჰექტარობით | შესრულებ. პროც-ბით | გეგმა ჰექტარობით | შესრულებ. პროც-ბით | გეგმა ათას ცალობით | შესრულებ. პროც-ბით |
| ახალქალაქი | 0,5 | | | | | | | |
| ადიგენი | 0,5 | | | | | | | |
| ხაშური | 1 | 50 | 7 | 23,5 | | | 85 | 5 |
| გორი | 2 | | 5 | 80 | 10 | | 900 | 2,7 |
| კასპი | 0,5 | | 1,5 | | | | 570 | 15,1 |
| ბორჯომი | 0,5 | | | | | | | |
| გურჯაანი | 1 | | 100 | 102 | 10 | 30 | 3640 | 55,1 |
| სიღნაღი | 1 | | 8 | | 20 | | 2618 | 42,6 |
| თელავი | 1 | | 80 | 100 | 20 | 55 | 4088 | 34,1 |
| ყვარელი | 1 | | | | 10 | 56 | 2240 | 46,7 |
| ლაგოდეხი | 1 | | 4 | 300 | | | 140 | 57,1 |
| თბილისი | 1,5 | | 12 | 50 | | | 2017 | 52 |
| ყარაია | 1 | 1600 | 1 | | | | 230 | 91,3 |
| ბორჩალო | 0,5 | | | | | | 400 | 23,7 |
| ლუქსემბურგი | | | 30 | | | | 1000 | 60 |
| დუშეთი | 1 | | | | | | 140 | 28,6 |
| აღბულაღი | | | 5 | | 5 | | 280 | 71,4 |
| საგარეჯო | 3 | 25 | | | 25 | 14 | 1080 | 46,7 |
| თიანეთი | 1 | | | | | | | |
| ყაზბეგი | 0,5 | | | | | | | |
| ქუთაისი | 7 | | 7 | 14,3 | 5 | 60 | 114 | 139 |
| სამტრედია | 3 | | 13 | 7,6 | 5 | | 114 | 26,8 |
| წულუკიძე | 2,5 | | 2 | | 5 | | 114 | 26,3 |
| ვანი | 1,8 | | 6 | 116,6 | 15 | | 440 | 96,4 |
| ბაღდათი | 0,8 | | 60 | 16,6 | 30 | 33 | 858,8 | 89,4 |
| ჯუღელი | 1,2 | | 200 | 42 | 35 | | 2020 | 66,6 |
| ჩხარი | 0,8 | | 150 | | 25 | | 360 | 68,6 |
| ჭიათურა | 1,2 | | 35 | | 20 | | 171,4 | 76 |
| ორჯონიკიძე | 0,5 | | 30 | | 15 | | 1187,1 | 50,5 |
| ტყიბული | 3,3 | | | | | | | |
| ამბროლაური | | | 28 | 35,7 | 5 | | 611,4 | 34,3 |
| ცაგერი | 0,5 | | 5 | 100 | 5 | 40 | 230 | 100 |
| აბაშა | 1 | 600 | | | | | | |
| ცხაკაია | 1,5 | | | | 5 | | 133,8 | 62,2 |
| გეგეჭკორი | 0,8 | | 10 | 40 | | | 307 | 65,1 |
| ზუგდიდი | 1,5 | 266,6 | 8 | | 5 | | 171,4 | 2,9 |
| ხობი | 1,4 | | | | | | | |
| წალენჯიხა | 0,8 | | 2,5 | | 5 | | 215,8 | 5 |
| ჩხოროწყუ | 0,8 | | 8 | | 5 | | 400 | 32,5 |
| მახარაძე | 1,5 | | 8,5 | | | | 90 | 119 |
| ლანჩხუთი | 2 | | | | 5 | | 60 | 61,6 |
| ჩოხატაური | 0,8 | | 11 | | 5 | | 400 | 75 |
| ფოთი | 0,3 | | | | | | | |
| აფხაზეთ. ასსრ | 4 | | 60 | 5 | | | 3200 | 40,6 |
| აჭარის ასსრ | 3 | | 2 | | 5 | | 133,8 | |
| სამხ.-ოს. ა. ო. | 1,5 | | 0,5 | 400 | | | 175 | 37,1 |
| სულ. რესპუბლიკაში | 63 | 50,7 | 900 | 32,5 | 300 | 18,5 | 30929,1 | 48,7 |
| დამთავრების ვადა | | 15/IV | 1/V | | | 1/V | | 1/V |

გორისა და სიღნაღის ცნობები ხეხილის სანერგისა და ვენახის გაშენების შესახებ 1 აპრილისაა, გურჯაანისა — ხეხილზე — 1 აპრილის და ვენახზე — 10-სა, სამხრეთ-ოსეთისა კი ხეხილის შესახებ —1 აპრილისა.

ვაზის მყნობის ცნობები ყვარლის, თბილისის, დუშეთის, საგარეჯოს, ქუთაისის, ბაღდათის, ჯუღელის, ცხაკაიას და ჩხოროწყუს რაიონებისა 10 აპრილისაა დანარჩენი რაიონებისა კი 1 აპრილისა.

◇ ◇ ◇

## ინგლისის საელჩოს უარყოფა

**ლონდონი,** 13 აპრილი (საქინფორმი). ინგლისის საელჩო ხენდეიში უარჰყოფს ცნობას იმის შესახებ, თითქოს ინგლისის სავაჭრო ატაშე, რომელიც მიემგზავრებ ბურგოსს, მოლაპარაკებას იქონიებს მეამბოხეებთან შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის ნავსადგურებში დაკავებულ ინგლისის გემებს ნება მიეცემათ შევიდნენ ბილბაოში თუ ამის ნაცვლად ინგლისი აკრძალავს ინგლისის გემების შემდგომ გაგზავნას ბილბაოში. საელჩო აღნიშნავს რომ სავაჭრო ატაშე გაემგზავრება ბურგოსს, მაგრამ გამგზავრება დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ინგლის-ესპანეთის შეთანხმებასთან ურთიერთ სავაჭრო ანგარიშსწორების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მექანიზმების ათვისება ტყიბულის მაღაროებში

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა გასულ წელს, ნაცვლად 95.000 ტონა ქვანახშირისა, ამოიღო მხოლოდ 51.000 ტონა. მექანიზაციის გაუტარებლობამ გავლენა მოახდინა საერთოდ გეგმის შესრულებაზე. ტყიბულმა პირველი სტახანოვური წლის დავალება ვერ შეასრულა.

პირველად, როცა მაღაროში ბურღის მაგიერ ელექტრობურღი მოიტანეს, ამან ზოგიერთი ინჟინრის და მუშის აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. მთელ რიგ მუშაკებში დაიბადა მექანიზაციის საწინააღმდეგო განწყობილება. ლენინის სახელობის მაღაროს მნგრეველთა ბრიგადირი სერაპიონ ქარქაშაძე აცხადებდა, ელექტრობურღი ჩვენს პირობებში ხელსაყრელი არ არისო; მაგრამ ახლა ეს იარაღი მისთვის საყვარელი გახდა და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. მნგრეველი სარდიონ კუბლაშვილი 25 წელიწადია მაღაროში მუშაობს. იგი, როგორც ძველი მაღაროელი, შეჩვეული იყო ხელის ბურღით მუშაობას. მას პირველ ხანებში მექანიზაციისა არაფერი სწამდა, მაგრამ ახლა ჩინებულად ითვისა ელექტრობურღი და მის გამოყენებას სხვებსაც ასწავლის. ანტიმექანიზატორული განწყობილების შემთხვევები ახლაც არის. მექანიზაციის სამუშაოებთან ერთად უნდა სწარმოებდეს კადრების გადამზადებაც, მაგრამ ამ საქმეს ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა. აი რას ამბობს ლენინის მაღაროს პარტკომის მდივანი:

— ჩვენი მთავარი ნაკლი ის არის, რომ დაზიანებული მექანიზმების შემკეთებლები ვერ აღვზარდეთ. ამ მეტად პასუხსაგებ საქმეზე შემთხვევითი ხალხი მუშაობს.

ამიტომ ძლიერ დაბალია შეკეთების ხარისხი, რის გამო ელექტრობურღები ხშირად ფუჭდება და მნგრეველები სცდებიან. გარდა ამისა, აკლიათ ელექტრომონტიორები და, რაც მთავარია, მექანიზმების სათადარიგო ნაწილები.

მაღაროში მექანიზებული არ არის ვაგონების დატვირთვა და წმენდითი სამუშაოები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვანახშირის გამდიდრება და დახარისხება მოძველებული მექანიზმებით სწარმოებს. მიმდინარე წელს უნდა აშენდეს ბუნკერები, რაც შესაძლებელს გახდის ნახშირის დახარისხებულად მიღებას. გარდა ამისა, მოეწყობა დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაცია. დაიდგმება ახალი ტიპის მანქანა — „ნისი“ და რხევითი კონვეიერები. წელს განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ტყიბულის მაღაროების მექანიზაციას. მეოთხე კვარტალში ნახშირის ამოღების სამუშაოების 90 პროცენტი მექანიზაციით უნდა იქნას შესრულებული. ამ დავალების უზრუნველსაყოფად უკვე დაწყებულია წინასწარი მუშაობა. მოელიან მანქანა-იარაღებს. უკვე ჩამოყალიბდა ტექნიკის დაუფლების წრეები, რომლებშიც ათისთავები, ბრიგადირები და ელექტრომონტიორები მეცადინეობენ.

გრძელდება ახალი მაღაროების მშენებლობა. ეს საქმე ჯერ კიდევ 1935 წელს უნდა დაეწყოთ, მაგრამ ქვანახშირის ტრესტის ყოფილი ხელმძღვანელების უსულგულო მუშაობით გეგმა ჩაიშალა და მშენებლობა ფაქტიურად მხოლოდ გასული წლის მეორე ნახევარში დაიწყეს. წელს კი ამ მაღაროების მშენებლობისათვის 6 მილიონი მანეთზე მეტია გადადებული და მუშაობა ჩქარი ტემპით სწარმოებს.

მაღაროები მოეწყობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რამაც ერთისამად უნდა გაადიდოს ტყიბულის ქვანახშირის ამოღება. არ კმარა მარტო მექანიზაციის გატარება. საჭიროა რთული მანქანების სავსებით ათვისება, მაგრამ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ამიტომ არის ელექტრობურღების და პნევმატური ჩაქუჩების დაზიანების შემთხვევები. ლენინის მაღაროში მანქანების დაზიანების გამო მუშაობის მოცდენა 10-15 პროცენტს აღწევს. მარტში ვლ. გოგოლაძის და ვ. სუჯაძის ბრიგადები ელექტრობურღების გაფუჭების გამო 21 საათს მოსცდნენ. 9, 10 და 11 მარტს ზედიზედ გაუფუჭდა ელექტრობურღი სტალინის მაღაროს მნგრეველს შ. კახიძეს და რამდენიმე საათი მოსცდა. აგრეთვე დაზიანდა საბაგირო გზა და ნახშირის ამოღება შეჩერდა. მსგავსი ფაქტების მოყვანა მრავლად შეგვიძლია. მანქანების დაზიანების უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მათი მართვა ჯერ კიდევ საფუძვლიანად არა აქვთ შესწავლილი.

მექანიზაციის გატარებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღაროებში უსაშიშროების წესების დაცვას. მთავარია ჰაერის განიავება. ამ მხრივ ლენინის მაღაროში კარგი მდგომარეობაა. აქ დადგეს 1.200 კუბ. მეტრას სიმძლავრის ჰაერსაწმენდი. მოწესრიგებულია სანგრევებში ჰაერის განაწილება, მოწყობილია რეგულატორები, კარები, სავენტილაციო ტიხრები და სხვ. მხოლოდ საჭიროა საკაბელე მეურნეობის წესრიგში მოყვანა და მტვერთან ბრძოლის მოწესრიგება.

ტყიბულმა წელს ქვეყანას 350 ათასი ტონა ქვანახშირი უნდა მისცეს. ამ დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის საჭიროა მექანიზაციის გატარება და, რაც მთავარია, მანქანების ათვისება.

კლ. ზიაძე.

◆

# კულტურულად აწყობენ სოფლებს

კასპის რაიონის მშრომელები ენტუზიაზმით შეხვდნენ რაიონის კოლმეურნეთა აქტივის მიმართვას. ყველა კოლმეურნე კულტურულად აწყობს კარმიდამოს. გაჰყავთ გზატკეცილები, ეზოებს ორმხრივ უკეთებენ თხრილებს და ამწვანებენ, აწყობენ ფიზკულტურულ მოედნებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ სოფ. ალაიანის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობაში დაგეგმეს და გაიყვანეს სასოფლო გზები, მწვანე ნარგავთა გასაშენებლად ამოღებულია ორმოები, დაიწყო საცხოვრებელი ბინების შეთეთრება.

სამთავისის კოლმეურნეობაში, სადაც წინათ ვიწრო ბილიკები იყო, საუცხოო სასოფლო გზატკეცილები კეთდება, ეწყობა ფიზკულტურული მოედანი, საპარიკმახერო, კოლმეურნეებს წესრიგში მოჰყავთ და ამწვანებენ იმ გზას რომელიც მათ კარმიდამოსთან გადის, ეზოებში რგავენ 20-30 ძირ სხვადასხვა ხეხილს, აწყობენ ყვავილნარებს.

საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობისათვის სოფლის საბჭოებსა და კოლმეურნეობებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ალაიანის სასოფლო საბჭოს სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ოკმის სასოფლო საბჭო, სამთავისის კოლმეურნეობას ქვემო ჭალის კოლმეურნეობა.

ზ. ჩიქორია

# თამბაქოს სამუშაოები

(ლაგოდეხი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

თამბაქოს შარშანდელი მოსავლის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა ლაგოდეხის რაიონმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა,—გეგმის ზევით ჩაბარა როგორც მეოთხე და მეხუთე, ისე პირველი, მეორე და მესამე ხარისხის თამბაქოს ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.946,9 ტონისა, 4.077 ტონა.

წელს აქ თამბაქოს პლანტაციის ფართობი არ დიდდება, გეგმის მიხედვით ეს კულტურა ისევ 3.300 ჰექტარზე გაშენდება. სამაგიეროდ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და გადიდდება ნედლეულის ხარისხი. მაგალითად, პირველი ხარისხის თამბაქო 0,8 პროცენტიდან გაიზრდება 1,2 და ზოგან 10 პროცენტამდე. ასევე გაიზრდება მეორე და მესამე ხარისხის ნედლეულიც.

არ შეიძლება ითქვას, რომ თამბაქოს სამუშაოთა არსებული ტემპები და საქმისადმი ყურადღება უზრუნველჰყოფდეს ვალდებულების წარმატებით შესრულებას. აგროწესები გარკვევით მიგვითითებს, რომ ის ნაკვეთები, რომლებიც შემოდგომაზე ანეულად არ მოუხნავთ, 1 მარტამდე აუცილებლად მოხნულიყო 15—18 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო თუ ფერდობია, 10 აპრილამდე დაებარათ 15—20 სანტიმეტრამდე. ამავე დროს გაეფხვიერებინათ ნიადაგიც.

ასევე ადრე გაზაფხულზე უნდა დაეფარცხათ შემოდგომა-ზამთრის ნახნავი და გადაეხნათ 10—12 სანტიმეტრის სიღრმეზე 5—10 დღით ადრე მცენარის დარგვამდე.

არცერთი ეს სამუშაო ლაგოდეხის რაიონში შესრულებული არ არის. განსაკუთრებით ჩამორჩენილია სამუშაოთა შესრულება ერთპიროვნულ მეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ფართობებზე. აქ არა თუ ფარცხვა და ნიადაგის გადახნა, პირველი ხვნის გეგმის შესრულებაც კი 4-5 პროცენტს არ აღემატება, მოუხნავია 400 ჰექტარზე მეტი. ამას ერთერთი მიზეზია ძველი ტრადიცია; როცა ნიადაგს მოხნავდნენ, თამბაქოსაც მაშინვე დარგავდნენ.

აგროწესების მიხედვით, თესვის წინ ფორმალინით დეზინფექცია უნდა გაეკეთებინათ ჩარჩოებისა და საერთოდ სანერგე მეურნეობის მთელი ინვენტარისათვის. ეს ვალდებულებაც კოლმეურნეობათა უმრავლესობას არ შეუსრულებია. 10—15 თებერვლის ნაცვლად 15—20 მარტს რაიონში მიღებული 1,2 ტონა ფორმალინი საწყობში დღესაც გამოუყენებელია. ამის შედეგად, აგრეთვე ზედმეტი სიხშირისა და სინესტის გამო მთელ რიგ კოლმეურნეობებში უკვე შენიშნულია თამბაქოს ჩითილის როგორც ფესვის სიდამპლე, ისე ზოგი სხვა ავადმყოფობაც. მიწგანი (გამგე ამხ. გ. გოზალიშვილი) ვალდებული იყო ამ მდგომარეობისათვის ადრევე გაეწია ანგარიში, ადგილებისათვის თავის დროზე მიეწოდებინა აგროწესები, შაბიამანი, კირი, შეემოწმებინა მდგომარეობა და გაეძლიერებინა ყურადღება-დახმარება. ეს მოვალეობა აქ თითქმის არავის მოჰგონებია.

აი შედეგიც. მაგალითად, კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ (თავმჯდომარე პლატ. ფედორენკო), მიუხედავად იმისა, რომ აგროწესებით ეს აკრძალულია, სათბური მეხუთე წელია ერთსა და იმავე ადგილზე მოაწყეს, ჩარჩოებსა და ინვენტარს დეზინფექცია არ გაუკეთეს. თესლი თვითეულ კვადრატულ მეტრზე, ნაცვლად 0,8 გრამისა, ვარაუდით ისე სქლად დასთესეს, რომ ჩითილი ნახევარზე მეტი გადასაყრელია, ზედმეტი მორწყვის გამო ზოგიერთ სათბურში გაჩნდა ჭაობი, ნერგი დაავადდა. მოვლის წესები, როგორც ადგილზე შემოწმებისას გამოირკვა, არ წაუკითხავთ არც სათბურებზე მიმაგრებულ ირ. გოზალიშვილს, არც აგრონომ სვანიძეს. ეს მდგომარეობა კი ხელს უწყობს ადგილობრივ თვით სპეციალისტთა შორის უსაფუძვლო დავას, პოლემიკას.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მეზობელ კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხალში“ (თავმჯდომარე შაქრო შიუკაშვილი). აგროწესები არა აქვთ, თამბაქო დათესილია არათანაბრად და ბევრგან ძალიან სქლად, ალაგ-ალაგ კი ნიადაგი მომცდარია, ჩითილს რწყავენ უწესოდ, რის გამო გაჩენილია სიდამპლე. სათბურში ნაკელი წინასწარ წესიერად არ დაუტკეპნიათ. ამის გამო ზოგიერთ სათბურში ნიადაგი ოღროჩოღროა და დაფერდებული. არ აწარმოებენ გვარჯილითა და ფრინველის ნაკელით კვებას, არა აქვთ კირი, რომ ბორდოს სითხით მორწყონ, შეწამლონ.

ლაგოდეხის რაიონში მალე თამბაქოს გადარგვასაც დაიწყებენ. მაგალითად, ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბაგრატ მაისურაძე) და სხვა კოლმეურნეობებშიც ჩითილი უკვე გადასარგავია. რასაც, მათი განცხადებით, ორ დღეში დაიწყებენ. ამავე დროს სათბურები კარგ ამინდშიაც დახურული აქვთ. აგროწესები კი მიგვითითებს—ჩარჩოები დარგვამდე 10 დღით ადრე აუცილებლად უნდა იქნას სრულიად ახდილი და წვიმაში კი დახურული.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დარღვეულია მცენარის წრთობას. გაპატივებისა და სხვა აუცილებელი სავალდებულო ღონისძიებანი. ეს სამუშაოები ზოგან ან სულ არ სრულდება, ან თუ კეთდება, უდროო დროს და უწესოდ. უდავოა, ამ მდგომარეობას შეუძლია დიდი ზიანის მოტანა.

ლაგოდეხის რაიონს ყოველგვარი საშუალება აქვს თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღების საქმეში წელსაც ახალ გამარჯვებებს, საკავშირო მნიშვნელობის წარმატებებს მიაღწიოს. ამისათვის საჭიროა გამოსწორებულ იქნას აღნიშნული დეფექტები.

თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სახარატო-საინსტრუმენტო საამქროს ზეინკალი ამხ. ბობროვი ჩაება ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ლაშქრობაში, იკისრა მაღალი ხარისხის ინსტრუმენტების გამოშვება და თვიური გეგმის 200 პროცენტით შესრულება. ამხ. ბობროვმა ოსტატ ბოჭორიშვილთან ერთად იკისრა აგრეთვე მთელი ბრიგადის სტახანოვურ ბრიგადად გადაქცევა.

**სურათზე:** ამხ. ბობროვი და ოსტატი ბოჭორიშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ბუდეშტსკისა — „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

კარლო კალაძე

# ყველგან

შვიდი მთა შემოვიარე
და მერვეც მშვიდი მთა არა, —
ტევრებით ფრთამოშრიალე,
ბილიკებ დაუთოვარი...

მეცხრე ყოფილა ხრიოკა,
დამღალა, დამაგვიანა!
და ვიდრე გადავდიოდი,
ნისლებმაც გადამიარა...

წარბი შევყარე, გამწყრალმა,
ხევს ჩავყურებდი ზემოდან, —
გზა ნემსის ყურში გამძვრალი
ძაფივით იკარგებოდა!

გზად ამომშლიდა მეც ახე
ნისლი და ბინდი სრულებით,
რომ თქვენ არ სჩანდეთ ზეცაზე
ჩრდილებად დახატულები!

ტოტებს მირხევდით მუხისებრ
ჟღალჩოხიანი ტოლები!
დებს თუ არ გავაგულისებ,
მოვალ და ძმად გეყოლებით...,

მგზავრი განთიადს მოვუცდი,
ღამეს ბუხრის წინ გავათევ,
მანდ მეგულება მოხუცი,
ვისხდებით და ვიკამათებთ!

მთაზე მწუხრი და ნისლია,
სანთელი ორთოლვით გაივლის...
ვუახლოვდები... ვისია?
ქვის კიბეები აივნის!

ვის ვკითხო დაბეჯითებით,
შინ ქალებს მოულხენიათ,
თუ მხრებაშლილი ჩიტები
ყელმოღერებით მღერიან!

თითებით ნათამაშები
კალთებზე ჩონგურებია,
თავზე ადგანან ვაჟები
დინჯად ზანს ეუბნებიან!

მოხუცი ჩემკენ მოილტვის
მომღიმარი და უბრალო:
„— დაბრძანდი სული მოითქვი
და დაგვიშვენე სუფრაო“...

ამბობს: ნაწრთობი კაცი ვარ,
ნაომარ „ნაყაჩაღარი“ —
მეც მიგულებდე არწივად,
თუმცა ვმოსილვარ ჭაღარით...

ხედავ? — კედელზე, ლოგინთან
თოფი ჰკიდია ბერდენის, —
სროლა თუ იცი, მოგიტან
ნახავ თუ როგორ ვბერდებით...

მტრისადმი ხმაშეწყობილად
რისხვა თუ გაგვიბედია, —
აქ ჟულაშვილიც ყოფილა,
ჩვენს გულში ჩაუხედია!..

შემდეგ რამდენი რა იყო,
მთებზე რამდენჯერ დათოვა..
მზემ იგი თოვლი აიღო,
ჩემი ჭაღარა დატოვა.

წარსულს არ ვემორჩილებით,
და წამად გავიხსენე მე..
ახალს გეტყვიან შვილები
აქ, ეხლა, რომ აშენებენ.

ხუთი დღე — მარად მნახავდე
მღერით მარანში არ შევალ,
მეხუთე როცა დაღამდეს,
იცოდე, ტოლუმბაში ვარ.

დღეს არი ჩემი ცხოვრება
ალმართზე ამოტანილი!
სიბერე ვერ მომერევა
მეც მავაჟკაცებს სტალინი...

ის თურმე ხელებგაშლილი
ვაჟკაცებს გულში იკრავდა
მისდამი მტრობამ გესლივით
რომ გაუელვოს ფიქრადაც —

მტერს, შემპარავი ღიმილით
საჭირბოროტოდ შეფერილს, —
და ლონემიხდილ ჩრდილივით
მარტო მე შევხვდი ბებერი —

შევხედავ მძულვარებითა
შუბლს, ვით დასანგრევ პიტალოს, —
ბერდენის ტყვიამ ძვლები და
ფიქრიც თან გამოიტანოს!..

...ასე ამბობდა ჭაღარა,
მრისხანედ გულმოღრუბლული, —
და ცეცხლი გააჩაღა-რა,
ისმოდა გულთა გუგუნი.

◆

# ავლაგმოთ კომბინატორები

ზოგიერთ სავაჭრო წერტში ბოლო დროს გახშირდა სპეკულაცია, გადამყიდველობა და მომხმარებლების მოტყუება.

თბილმრეწვავჭრობის მაღაზიის № 87 გამყიდველი მესხიშვილი უმეტეს შემთხვევაში არ ხმარობს მეტრს, იგი მომხმარებელს ფართალს უზომავს უბრალო გათლილი ფიცრის საშუალებით. როდესაც მომხმარებელი ამხ. დავლიანიძე შეეკითხა — რატომ არღვევ სავაჭრო დისციპლინასო, მესხიშვილმა ურცხვად უპასუხა: „მეტრი ფულის ქვეშ არის მოქცეულიო“.

უცნაური პასუხია. მეტრი როგორ დაიფარა ფულით ისე, რომ მესხიშვილმა ვერ შესძლო მისი გამოღება?

თბილკვებვაჭრობის პურის მაღაზიის № 35 გამყიდველი ნიკოლოზ თოფურია სისტემატურად ატყუებს წონაში მომხმარებლებს. მუშა მირაშჩიკოვს ორ კილოში 400 გრამი დააკლო. ნ. თოფურია მომხმარებლებს არც თავაზიანად ეპყრობა, ლანძღვა-გინება სავალდებულოდ მიაჩნია.

გორის რაიკავშირმა გამყიდველ სანდრო პოღოსოვს თბილისის ბაზარზე გასაყიდად 2.460 კილო ვაშლი გამოატანა. პოღოსოვს ფაქტურის თანახმად სამი ხარისხის ვაშლი უნდა გაეყიდნა კილო 1-50 კ. 1-20 კ. და მანეთად, მაგრამ მტკიცე ფასი დაარღვია და, ხარისხის მიუხედავად, კილო ორ მანეთად გაჰყიდა.

გამორკვევით დადასტურდა, რომ პოღოსოვს ზედმეტ ფასში გაყიდული ჰქონდა 1.500 კილოზე მეტი.

ამოჩენილ იქნენ აგრეთვე ფქვილის გადამყიდველები, თბილისში მცხოვრებნი ძმები ვასო და დათიკო ბალამწარაშვილები, რომელნიც თავს კოლმეურნეებად ასაღებდნენ მათ სოფელ თეზეთიდან (კასპის რაიონი) ჩამოსულ კოლმეურნეს ვ. ოთიაშვილს გამოართვეს 120 კილო სიმინდის ფქვილი და გაორკეცებულ ფასებში დაუწყეს გაყიდვა.

თბილმრეწვავჭრობის მაღაზიის (117) სექციონერი რეზგიშვილი და გამყიდველი აკოფოვი ხელს უწყობენ და ამარაგებენ გადამყიდველებს. გადამყიდველ მასიან სადაევს მალულად მისცეს 28 წყვილი ქალის აბრეშუმის ჩულქი. დახლის ქვეშ აღმოაჩნდათ 300 ცალი კოჭის ძაფი და უფაქტუროდ 20 წყვილი ჩულქი სადაევისათვის გადასაცემად.

თბილმრეწვავჭრობის ინსპექტორი ლევან ჯაფარიძე, ნაცვლად იმისა, რომ ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს სავაჭროებს და გამოამზეუროს მათი ნაკლოვანებანი, თვითონ ვარდება კომბინატორულ ჭაობში. ჯაფარიძემ ამ რამდენიმე დღის წინათ საკოლმეურნეო ბაზარში მწვანილის გადამყიდველს ვინმე შამილაშვილს გამოართვა 30 მანეთი ქრთამი და აღუთქვა, რომ ხელს არავინ ახლებდა. ეს გვიჩვენებს, რომ თბილმრეწვავჭრობის ზოგიერთი მუშაკი არა თუ ებრძვის სპეკულანტ გადამყიდველებს, არამედ კავშირს ამყარებს მათთან.

ი. თევდორაშვილი.

ქ. სულაქველიძე

# დივერსანტების პრაქტიკა

დიდმა სტალინმა თავის გენიოსურ მოხსენებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე სხვათა შორის შემდეგი სთქვა:

„მივიღოთ საჭირო ზომები იმისათვის, რომ ჩვენს ამხანაგებს, პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს, შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ უცხოურ მზვერავ ორგანოთა მავნებლურ - დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს, პრაქტიკასა და ტექნიკას“.

რადგან მე რამდენიმე წელიწადს საზღვარგარეთ „ვმოღვაწეობდი“ ეგრეთწოდებულ „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან“ და მოწმე ვიყავი იმ დივერსიული და ჯაშუშური მუშაობისა, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები აწარმოებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მინდა მკითხველს გავაცნო, რაც ამ მხრივ ვნახე და რის ერთი ერთი მონაწილე მეც ვიყავი.

„დემოკრატიული მთავრობა“ საქართველოდან გაძევებულ იქნა 1921 წლის გაზაფხულის დასაწყისში. მთავრობას თან აედევნა რამდენიმე ასეული კაცისაგან შემდგარი ბანდიტთა ამალა. თითქმის ყველა წასულნი სტამბოლში მოთავსდნენ. პარიზს გაემგზავრნენ მხოლოდ „მთავრობის“ წევრები ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის მეთაურობით.

სტამბოლის ბატონ-პატრონი იმ ხანებში თურქეთის მთავრობა კი არ იყო, არამედ ანტანტაში შემავალი სახელმწიფოების — საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის წარმომადგენლები. ქალაქის ფაქტიური მართვა - გამგებლობა მათ ხელში იყო. მათზე იყო დამოკიდებული როგორც მკვიდრ მცხოვრებთა, ისე განსაკუთრებით რევოლუციური რუსეთიდან გამოქცეულთა ბედ-იღბალი. ძლიერი, ელვისებური სისწრაფით გაიბა კავშირი გადმოხვეწილ ქართველ კონტრრევოლუციონერებსა და ანტანტის სტამბოლელ მესვეურთა შორის.

ჯერ კიდევ გემიდან სტამბოლის მიწაზე ფეხი დადგმული არ გვქონდა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მზვერავ ორგანოთა ხელმძღვანელებს გავეცანით. საქმე იმაშია, რომ „დემოკრატიული მთავრობის“ წევრნი ბათუმიდან საუკეთესო, სწრაფმავალი გემით გაემგზავრნენ და, რასაკვირველია, სტამბოლში ჩაგვასწრეს. აი მათი თანხლებით მობრძანდნენ ანტანტის სახელმწიფოთა მზვერავები გემზე და ჩვენი ავტობიოგრაფია იქვე მათს დავთრებში ზუსტად აღიბეჭდა. ჩვენთან გულწრფელი შეუღლება იმით გვამცნეს, რომ „განსაკუთრებული რაზმის“ ხელმძღვანელნი, შავრაზმელები კედია და ფაჩულია თავიანთ სამსახურში აიყვანეს.

რათ სჭირდებოდათ მათ ეს ორი პიროვნება? საქმე იმაშია, რომ იმ ხანად (1921 წელს) არავითარი დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობდა ბურჟუაზიულ ქვეყნებსა (გერმანიის გამოკლებით) და საბჭოთა რუსეთს შორის. უცხოელისათვის უშუალოდ რუსეთში შესვლა შეუძლებელი იყო. ამრიგად საბჭოთა ქვეყანაში თავიანთი ქვეშევრდომის გამოგზავნა დივერსანტებს არ შეეძლოთ. არც რუსეთის შესახებ ცნობების შეკრება შეეძლოთ მათ ამ გზით. ამიტომ სხვა გზით ცდილობდნენ ამ ნაკლის შევსებას.

თავდაპირველად ამისათვის იყენებდნენ საბჭოთა საქართველოდან გადმოქცეულებს — ყველა რეაქციულ ძალას. 1921 წელს საქართველოდან სტამბოლში აგრეთვე ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველი და ებრაელი ვაჭრები საქონლის საყიდლად. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა ბნელი მიზნით ევროპისაკენ მიემგზავრებოდნენ. და აი ანტანტის მზვერავები დაგეშილი ძაღლებივით დაფუსფუსებდნენ საქართველოდან ახლად ჩამოსული გემების გარშემო. არცერთ მგზავრს არ უშვებდნენ ისე, რომ არ გაეცნოთ და არ გამოეკითხათ საქართველოს და, თუ შესაძლებელი იყო — რუსეთის ამბებიც. აქ დიდ სამსახურს უწევდნენ მათ კედია და ფაჩულია. მათი საშუალებით მგზავრებს ზუსტად ახარისხებდნენ: კომუნისტებს და მათ თანამგრძნობთ გულმოდგინედ ჩხრეკდნენ, დანარჩენებს კი იყენებდნენ ცნობების მისაღებად. თითო კაცის დაკითხვა ხშირად რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

ძალიან გაძნელებული იყო იმ ხანებში ჟურნალ-გაზეთების მიღება საქართველოდან, საფოსტო კონვენცია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან მაშინ არ არსებობდა და გაზეთების მიღებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მენშევიკების დამქაშები კი საქართველოდან სისტემატურად გვაწვდიდნენ როგორც საქართველოს, ისე მოსკოვის გაზეთებს და ჩვენც, რასაკვირველია, ამ გაზეთებს გამოუკლებლივ ვაწვდიდით ევროპელ დივერსანტებს. უნდა გენახათ, რა სახე ჰქონდა მათ მიერ განხილულ და უკან დაბრუნებულ გაზეთებს. მთელი გაზეთი აჭრელებული იყო წითელი და ცისფერი ფანქრით. როგორც ხაზგასმიდან სჩანდა, მზვერავებს განსაკუთრებით აინტერესებდათ სამხედრო და ეკონომიური საკითხები. თუ კი გაზეთში რაიმე ცნობა იყო ან ჯარში ახალი დანიშვნების შესახებ, ან ჯარში მომუშავე ხელმძღვანელთა სახელი და გვარი, ან ჯარის ნაწილის ადგილმყოფელობა და სხვ., რასაკვირველია, მათ შეუმჩნეველი არ რჩებოდათ.

ვისთან ვიყავით მენშევიკები სტამბოლში განსაკუთრებით დაახლოვებულნი?

იმ დროს საბჭოთა სახელმწიფოს მტერთა მებაირაღტრედ მილიერანისა (პრეზიდენტი) და პუანკარეს (მთავრობის თავმჯდომარე) საფრანგეთი იყო. მას კუდში მისჩანჩალებდნენ პოლონეთი, რუმინეთი და სხვ. ჩვენი კავშირი განსაკუთრებით მჭიდრო იყო საფრანგეთთან და პოლონეთთან. ამ ორი სახელმწიფოს მზვერავი ორგანოები მენშევიკების სტამბოლელ ორგანიზაციას სამართლიანად თავის ორგანიზაციად სთვლიდნენ და, ცხადია, მისგან ყოველგვარ და ყოველნაირი ხასიათის ჯაშუშურ - დივერსიულ სამსახურს მოითხოვდნენ.

პირველ ხანებში, ვიდრე საქართველოდან გატაცებული სახსრები გვქონდა, მზვერავი ორგანოები ასეთი დახმარებისათვის ფულს არ გვაძლევდნენ და ამას არც ჩვენ მოვითხოვდით, მარტო „სინდისის ქვეშ“ ვმუშაობდით. მაგრამ თანდათან საკუთარი სახსრების შემცირებასთან ერთად ვიწყეთ ჩვენი „მუშაობისათვის“ ფულის აღებაც მათგან.

„რას თხოულობდნენ ისინი ჩვენგან? თავდაპირველად სამხედრო ცნობებს. პარიზიდან მოვიდა წერილი საქართველოში გასაგზავნად, სადაც ორივე ნოე (ჟორდანია და რამიშვილი) წინადადებას აძლევდა მენშევიკების არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს სისტემატურად ეგზავნათ ცნობები წითელი ჯარის შესახებ, და საქართველოდანაც ამ ცნობებს დიდი გულმოდგინებით გზავნიდნენ. ჯაშუშების საშუალებით ჩვენ სტამბოლში დიდი სიზუსტით ვიცოდით, თუ საქართველოსა და ამიერკავკასიაში რა ნაწილები იდგა, რა შეიარაღება ჰქონდათ, რამდენი იყო ჯავშნიანი მატარებელი, ავტომობილი, ვიცოდით აგრეთვე ყოველი ნაწილის ხელმძღვანელის გვარი და სახელი, მათი მოკლე დახასიათება (ეს განსაკუთრებით აინტერესებდათ დივერსანტებს). ყოველი ცვლილება ან ჯარის მეთაურთა შემადგენლობაში, ან ჯარის ნაწილების გაადგილებაში დროულად გვეგზავნებოდა და ჩვენც, ცხადია, ამ ცნობებს დროულად ვაწვდიდით საფრანგეთისა და პოლონეთის იმპერიალიზმის აგენტებს.

საინტერესოა საკითხი: იცოდნენ თუ არა ჩვენი ასეთი „მოღვაწეობა“ საქართველოში დარჩენილმა მენშევიკებმა, იცოდნენ თუ არა მათ, თუ რა დანიშნულებას ვაძლევდით მათ მიერ მოწოდებულ ცნობებს?

აქტიურმა მენშევიკებმა, რასაკვირველია, იცოდნენ, მაგრამ რიგით წევრებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოვდევდნენ მაშინ, ასეთ ჩვენს „მოღვაწეობაზე“ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

აბსოლუტური ჭეშმარიტებაა დიდი სტალინის სიტყვები ტროცკიზმზე და ეს სიტყვები სავსებით გამოიყენება მენშევიკების შესახებაც:

„თანამედროვე ტროცკისტებს ეშინიათ დაანახონ მუშათა კლასს თავიანთი ნამდვილი სახე, ეშინიათ გაუმხილონ მას თავიანთი ნამდვილი მიზნები და ამოცანები, გულმოდგინედ უმალავენ მუშათა კლასს — თავიანთ პოლიტიკურ ფიზიონომიას და ეშინიათ, რომ თუ მუშათა კლასი გაიგებს მათ ნამდვილ ზრახვებს, იგი შეაჩვენებს მათ, როგორც უცხო ადამიანებს, და გააძევებს მათ“.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ უცხოეთის დივერსანტების მუშაობას. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მათთვის უძვირფასესი ცნობების მოწოდებით. მათ აუცილებლად მიაჩნდათ ემისრების გაგზავნა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში განსაკუთრებული დავალებებით. მათი წინადადებით სტამბოლის მენშევიკთა ორგანიზაციამ გადაგზავნა რუსეთში სტამბოლში ჩემს ყოფნის დროს სამი პარტია ემისრებისა, დივერსანტების მიერ შერჩეული თეთრგვარდიელები: ორი პარტია ხოპას გზით და ერთი კაცი უშუალოდ სტამბოლიდან ერთერთი საბჭოთა გემით. ის მოეწყო გემზე მზარეულის თანაშემწედ და ბათუმში ჩამოსვლისას გადიმალა.

განსაკუთრებით გულთბილი განწყობილება იყო პოლონეთის სტამბოლელ წარმომადგენლობასა და ქართველ მენშევიკებს შორის. ძნელი იყო იმის გარჩევა, სად თავდებოდნენ პილსუდჩიკები და სად იწყებოდნენ ქართველი მენშევიკები. მათი პოლიტიკური გული ერთნაირად ფეთქდა და ძგერდა. დიდ დაპირებებს იძლეოდნენ სტამბოლელი პილსუდჩიკები იმ შემთხვევისათვის, თუ როდისმე ქართველი მენშევიკები ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდნენ! მანამდე კი ისინი თხოულობდნენ ჩვენგან ჯაშუშურ დახმარებას: უტყუარი და სრული ცნობების მიწოდებას საბჭოთა ამიერკავკასიაში მყოფ შეიარაღებულ ძალთა შესახებ. სხვათა შორის, მათ შემდეგი წინადადება მისცეს მენშევიკთა ორგანიზაციას: საქართველოს ერთერთ საიმედო კუთხეში მოეწყოთ რადიომიმღები და მისი საშუალებით ეჭირათ საიდუმლო გადმოცემანი მოსკოვიდან, განსაკუთრებით — დაშიფრული ცნობები. ამისათვის მათ გადმოგვცეს იმ დროისათვის საუკეთესო სისტემის რადიომიმღები სათანადო დაბეჭდილი ინსტრუქციით. ეს რადიომიმღებიც და ინსტრუქციაც ჩვენ საქართველოში გადმოვაგზავნეთ, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ამ რადიომიმღების დადგმა ადგილობრივად ვერ მოახერხეს და ის ხელში ჩაუვარდა საგანგებო კომისიას.

რამდენჯერმე მოეწყო შეხვედრა მენშევიკების წარმომადგენლებსა და საფრანგეთის მზვერავი ორგანოების ხელმძღვანელებს შორის. ეს შეხვედრები ხდებოდა მათ საიდუმლო ბინებზე. ასეთი ბინა მათ სტამბოლში რამდენიმე ჰქონდათ. მსჯელობის საგანი იყო ჯაშუშური ინფორმაციის გაუმჯობესება და მისი მიღების უკეთესი ორგანიზაცია.

რა გზით ვგზავნიდით, ან როგორ ვიღებდით საქართველოდან ცნობებს? 1923 წლის დამლევამდე მთავარი საშუალება კავშირისა იყო იტალიელი და ფრანგული გემები, რომლებიც სისტემატურად დადიოდნენ ბათუმსა და სტამბოლს შუა. თითქმის ყოველ ასეთ გემზე თითო კაცი გვყავდა მატროსებიდან, უფრო ხშირად კი გემის უფროსი მოსამსახურეებიდან. ბევრი მათგანი მოცემული იყო ფრანგების მზვერავების მიერ. აი ეს ჩვენი აგენტები, რასაკვირველია, კარგი გასამრჯელოსათვის, ატარებდნენ ჩვენს წერილებს ბათუმში, მიჰქონდათ ჩვენ მიერ ნაჩვენებ ადრესატთან და მათგან პასუხი მოჰქონდათ. როდესაც 1923 წლის დამლევისას ამ გზით გაგზავნილი ამანათების ჩავარდნა გახშირდა, გადავწყვიტეთ გზა შეგვეცვალა, გავიჩინეთ ემისარი ბათუმის მახლობელ თურქულ დაბა ხოპაში. ხოპადან, უმეტეს წილად დაქირავებული ლაზების საშუალებით, ჩვენი წერილები მიდიოდა ბათუმში და იქიდანაც უკან ვიღებდით პასუხს.

ჩვენ სტამბოლში დარწმუნებული ვიყავით, რომ უდიდესი ნაწილი ჩვენ მიერ საქართველოში, როგორც ზღვით, ისე ხოპას გზით გაგზავნილ ამანათებისა უვნებლად მიდიოდა დანიშნულებისამებრ, მაგრამ, როგორც ეს შემდეგ ჩემთვის გამოირკვა, ეს მხოლოდ ტკბილი ილუზია იყო! თურმე ბარათების უდიდესი ნაწილი ვიდრე ადრესატამდე მიაღწევდა, საქ. საგანგებო კომისიის კედლებს ინახულებდა! (ჩემი თვალით ვნახე იქ მათი ფოტოგრაფიული სურათები).

იგივე ითქმის ჩვენს შიფრზედაც. გვეგონა, რომ ჩვენ მიერ დამუშავებული შიფრის ამოხსნა შეუძლებელი იყო. საგანგებო კომისიაში კი მენშევიკური შიფრი 100 პროცენტით გამოშიფრული დამხვდა!

დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი მენშევიკებისადმი სხვადასხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების მეთაურებიც. ისინი ცდილობდნენ [illegible] გამოეყენებინათ ყოფილი ადამიანები. მილიერანმა „სადარბაზოდ“ მიიღო ნოე ჟორდანია. ამ „დარბაზობის“ სტენოგრაფიული ანგარიში ჩვენ სტამბოლში მოგვივიდა. მთელი საუბარი მათ შორის იმის გარშემო ტრიალებდა, არის თუ არა საქართველო „აჯანყებისათვის“ მზად, ან როდის ეპირებიან ნოე ჟორდანიას მომხრეები ამ „აჯანყების“ მოწყობასო. ამგვარივე ლაპარაკი ჰქონდა მაკდონალდს საქართველოს მენშევიკების წარმომადგენლებთან.

არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო მენშევიკთა „მოღვაწეობის“ ერთი მომენტიც. როდესაც საქართველოში მენშევიკების დამარცხების შემდეგ სტამბოლში თავი მოიყარეს მათმა ნამსხვრევებმა, დადგა საკითხი: რა ვაკეთოთ? ერთი აზრი ყველას იმონებდა, როგორც ხელმძღვანელთ, ისე — რიგით მენშევიკებსაც: არ შეუძლია საქართველოს განცალკევებით არსებობა, უნდა ვეძიოთ ბატონ-პატრონი, საჭიროა დიდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შევთავაზოთ პროტექტორატი საქართველოზე, და, ამ დღიდან დაწყებული წუნი საქონლის მქონე უბადრუკი ვაჭარივით, ნოე ჟორდანია და მისი წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფოებში, „გამოჩენილი დიპლომატის“ აკ. ჩხენკელის მეთაურობით, რიგრიგობით სთავაზობდნენ დიდსა და არა დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რათა ეს სახელმწიფოები საქართველოს ბატონ-პატრონი გამხდარიყვნენ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში უკლონისტების წარმოშობას საზღვარგარეთელი მენშევიკები დიდი აღტაცებით შეხვდნენ.

Рыбак рыбака видит издалека. — ჩვენ დავინახეთ მათში ჩვენი სულიერი ძმები. საქართველოდან მენშევიკური ცენტრი სისტემატურად და თითქმის უკლებლივ გვაწვდიდა უკლონისტების დეკლარაციებს, განცხადებებს და სხვ. ჩვენც ამ მასალებს ვთარგმნიდით უმთავრეს ევროპულ ენებზე და ვაქვეყნებდით ევროპის ჟურნალ - გაზეთებში. ვაქვეყნებდით იქვე უკლონისტების სურათებსაც. ევროპის ბურჟუაზიული და სოციალისტური გაზეთები დიდ დახმარებას გვიწევდნენ უკლონისტების აზრების გავრცელებისათვის. ამ დეკლარაციებიდან უფრო „ღირსშესანიშნავს“ ცალკე ბროშურადაც ვცემდით. ამით, რასაკვირველია, არ დავკმაყოფილდებულვართ. პარიზიდან გამოიგზავნა ბარათი საქართველოს მენშევიკურ ცეკასადმი, სადაც კატეგორიული წინადადება ეძლეოდა მენშევიკებს საქართველოში — ყოველ მიზეზ გარეშე გაებათ კავშირი უკლონისტებთან, მათთან მოლაპარაკების დროს ყოველგვარ „დათმობაზე“ წადითო სწერდა ჟორდანია. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს ხალხი, დღეს თუ არა ხვალ მაინც სულ მოვა ჩვენთანო. ამ მოსვლის დასაჩქარებლად საჭიროა მოქნილი ტაქტიკა და გულთბილი მოპყრობა უკლონიზმის მომხრეებისადმიო.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხში ჟორდანია „გამჭრიახი“ გამოდგა! ტროცკიზმი, უკლონიზმი საბოლოოდ და დაუბრუნებლად ჩაეფლო ფაშისტური რეაქციის ჭაობში, კონტრრევოლუციურ მენშევიზმში.

◆

# საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

## პირველი ტური

პირველ ტურში დებიუტის მხრივ ყველაზე საინტერესო რაუზერ-ლისიცინის პარტია იყო. მაესტრო რაუზერი საბჭოთა კავშირში ღია პარტიების ერთერთი საუკეთესო მცოდნეთაგანია. კარო-კანის დაცვის, ფრანგულ და სიცილიურ პარტიების წინააღმდეგ მას დამუშავებული აქვს მნიშვნელოვანი სისტემა. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ამ სისტემის პრაქტიკულად განხორციელებისას იგი ყოველთვის ვერ ახერხებს მის გამოყენებას.

რაუზერმა დღესაც სიცილიურ პარტიაში აირჩია სრულიად ახალი გაგრძელება, რომელიც მისთვის ხელსაყრელი არ გამოდგა. ლისიცინმა ენერგიული თამაშით მიიღო გარკვეული უპირატესობა, მაგრამ შემდეგ ვეღარ გამოიყენა ის და პარტია ყაიმით დასრულდა.

გოგლიძემ ახალი ინდიური დაცვის წინააღმდეგ კონსტანტინოპოლსკისთან დებიუტში რამდენიმე პასიური სვლა გააკეთა. მისმა მოწინააღმდეგემ, რომელიც თეორიას საუკეთესოდ იცნობს, ჩქარა მოახერხა შეტევითი მდგომარეობის მიღება. მაგრამ შუა თამაშში, გოგლიძემ წაართვა მოწინააღმდეგეს ინიციატივა. კონსტანტინოპოლსკიმ მწვავე შეტაკების შემდეგ თამაში გადაიყვანა მეფის ფრთაზე, სადაც მან მოწინააღმდეგეს ფიგურა შესწირა. გოგლიძის ზუსტი თამაშით მთელი რიგი ფიგურების გაცვლის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

კანმა იუდოვიჩის წინააღმდეგ ისარგებლა მოწინააღმდეგის უმართებულო თამაშით და ბევრად უკეთეს მდგომარეობას მიაღწია. მაგრამ შემდეგ მეფის ფრთაზე თამაშის მაგივრად მან თამაში გაშალა ლაზიერის ფრთაზე, ვერ შეამჩნია დაგებული მახე, წააგო ფიგურა და მალე დანებდა.

გროსმეისტერ ლილიენტალის და აზერბეიჯანის წარმომადგენლის მაკაგონოვის პარტია დასაწყისში ისე განვითარდა, რომ ყაიმით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მძიმე ფიგურების ენდშპილში გროსმეისტერმა მოწინააღმდეგეს პაიკის მიღების შესაძლებლობა მისცა. მოგება მაინც ძნელი იყო, მაგრამ მაკაგონოვმა შესძლო ამ პარტიის თავის სასარგებლოდ დამთავრება.

ბელავენეცმა საუკეთესოდ ისარგებლა რაბინოვიჩის უიდეო თამაშით დებიუტში და ფიგურათა ბევრად აქტიური განლაგება მიიღო. რაბინოვიჩმა ვერც მიტელშპილში ითამაშა სწორად, წააგო პაიკი და შემდეგ პარტიაც.

როგორც ვწერდით, კასპარიანი ბონდარევსკისთან დებიუტის მეტად სუსტად გათამაშების მსხვერპლი გახდა.

ილინ-ჟენევსკიმ პირველ სტადიაში მიღებული უპირატესობა ალატორცევის წინააღმდეგ შუა თამაშში რამდენიმე პასიური სვლით ხელიდან გაუშვა. შესვენებამდე პარტია არ დამთავრებულა და არც შემდეგ გაგრძელდა ილინ-ჟენევსკის ავადმყოფობის გამო.

ბუდომ, — პირველი კატეგორიის მოჭადრაკეთა წარმომადგენელმა, კავშირის ერთერთი უძლიერესი მოჭადრაკის ლევენფიშის წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე კარგათ ჩაატარა პარტია. მიუხედავად ლევენფიშის ყველა ცდისა, პარტია ყაიმით დამთავრდა.

ყველაზე დიდხანს რაგოზინ-ჩეხოვერის პარტია გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ რაგოზინს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეების წინააღმდეგ კარგი შედეგი არა აქვს. კერძოდ, ჩეხოვერთან მას მხოლოდ ერთი მოგება აქვს და ცხრა წაგება.

ამიტომ პარტიის დაწყებამდე ჩეხოვერი გრძნობდა, რომ იგი მორალურად უკვე გამარჯვებული იყო. მოხდა პირიქით. ახალ-ინდიურ პარტიაში რაგოზინმა გადაჭარბა მოწინააღმდეგეს თამაშში და პარტია მოგებულ მდგომარეობაში გადასდო.

◆

დღეს, 15 აპრილს, გათამაშდება ჩემპიონატის მესამე ტური. თამაშობენ: რაუზერი — ლევენფიში, გოგლიძე — ლისიცინი, ბუდო — ებრალიძე, რაგოზინი — კონსტანტინოპოლსკი, პანოვი — ბელავენეცი, კანი — ალატორცევი, რაბინოვიჩი — იუდოვიჩი, ბონდარევსკი — ჩეხოვერი, მაკაგონოვი — ილინ-ჟენევსკი და ლილიენტალი — კასპარიანი.

◆

# ჰამბურგი-სეუტა-ბათუმი

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბარგო გემის „რიონის" მექანიკოსმა ამხ. ნიკოლოზ ლუკაშენკომ გვიამბო:

— თებერვლის პირველ რიცხვებში ჩვენ ნოვოროსიისკის ნავსადგურში ვიდექით, მალე მივიღეთ ტვირთი და ავიღეთ კურსი — ჰამბურგი — როტერდამი — ანტვერპენი.

ხმელთაშუა ზღვა მშვიდობიანად გავიარეთ და დავტოვეთ გიბრალტარი ღამით. არაჩვეულებრივად წყნარი ამინდი იდგა, მხოლოდ გერმანელთა ზღვაში განვიცადეთ მცირედი ღელვა.

ჩავედით თუ არა ჰამბურგში, შევუდექით გადმოტვირთვას, ვმუშაობდით სამ ცვლად. თავისუფალ დროს მივდიოდით ქალაქის დასათვალიერებლად.

ჰამბურგის ნავსადგურში ჩვენ მივიღეთ ირანის სატრანზიტო ტვირთი, მოვიხსენით ლუზიდან ცხრა მარტს და ავიღეთ კურსი შინისაკენ — შავი ზღვის მშობლიურ სანაპიროებისაკენ.

ბისკაის სრუტეში ჩვენ განვიცადეთ ძლიერი ღელვა. ვეებერთელა ტალღები ეხეთქებოდნენ ჩვენი თბომავლის ბაქანს. თვით მაღალი მილებიც კი დაიფარნენ მარილის ნალექით.

ახლა ჩვენ გიბლარტარის სრუტეს დღისით მოვუახლოვდით. ჩვენდა მოულოდნელად ჩვენს თავზე გამოჩნდა ჰიდროპლანი ფაშისტური ემბლემით. ის დიდხანს დაუტრიალებდა თავს მტაცებელი ფრინველივით, შეგვისწავლა დეტალურად და შემდეგ აიღო კურსი სეუტასაკენ. ცოტახნის შემდეგ ჰორიზონტზე გამოჩნდა სამხედრო გემი, რომელიც პირდაპირ ჩვენსკენ მოემართებოდა. ეს იყო ფაშისტური გემი. მოგვიახლოვდა თუ არა, მოგვცა სიგნალი: „გამომყევითო".

იძულებული ვიყავით დავმორჩილებოდით, მიგვაცილებდა ჰიდროპლანი. სეუტის ნავთსადგურში ჩვენი გემის ბაქანს მოუახლოვდა კატერი ლოცმანითა და სამხედრო მცველებით. მცველები შეიარაღებული იყვნენ შაშხანებით. ჩვენს გარდა ნავსადგურში იდგა დაპატიმრებული საბჭოთა გემი „დიმიტროვი", რომელიც ჰამბურგიდან გამოვიდა ჩვენზე ადრე ერთი დღით.

ერთი საათის შემდეგ ჩვენთან გამოცხადდნენ ფაშისტების ოფიცრები და დაიწყეს ჩხრეკა. ერთი მათგანი შევიდა კაპიტანის კაიუტაში დოკუმენტების გასასინჯად. მეორე ჩაძვრა ქვეშ, — ტრიუმში და შეუდგა ჩვენი ტვირთების ჩხრეკას. რასაკვირველია, მათ ვერაფერი აღმოაჩინეს, რითაც ძალზე ნაწყენი დარჩნენ.

მალე ჩვენს თბომავალს მოხსნეს მცველები, მაგრამ გვიბრძანეს დაგვეცადა შემდეგ განკარგულებამდე. გაჩერების დროს ჩვენთან კაიუტებში შემოდიოდნენ მცველები, ათვალიერებდნენ ჩვენს წითელ კუთხეს, ცნობისმოყვარეობით სინჯავდნენ ყველაფერს, მაგრამ ლაპარაკისა ეშინოდათ. ერთმა მათგანმა მეტი სითამამე გამოიჩინა და ესპანურ ენაზე ჩაულაპარაკა ჩვენს მეზღვაურს: „მე ფაშისტი არა ვარ, ჩვენ მობილიზებულნი ვართ", გაიღიმა და ლენინისა და სტალინის პორტრეტებს მიაპყრო თვალი...

ერთი საათის შემდეგ ნება მოგვცეს წავსულიყავით. მალე ჩვენი გემი ტალღებს მიაპობდა ბედნიერი საბჭოთა ნავსადგურისაკენ.



თბილისი — ახალი სანაპირო ქუჩა

# მათემატიკოსთა საკავშირო მესამე ყრილობა თბილისში მოხდება

მათემატიკოსთა სრულიად-საკავშირო ასოციაციის პრეზიდიუმის დადგენილებით მათემატიკოსთა სრულიად-საკავშირო მესამე ყრილობას მოიწვევენ თბილისში 1938 წლის ივნისში.

ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ასოციაციამ აირჩია მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილი.

დასახულია ყრილობის დროებითი საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები ნ. ი. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), ვ. დ. კუპრაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ლ. პ. გოკიელი (მდივანი), ა. კ. ხარაძე, ა. ზ. ვალფიში, ს. ბ. ბერგმანი, მ. ე. მიქელაძე და დოცენტი ი. ნ. ვეკუა (სამეურნეო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე).

◆

# ქართველი მწერლები ტაჯიკურ ენაზე

ტაჯიკები ოქტომბრის რევოლუციამდე ითვლებოდნენ შუა აზიის ერთერთ კულტურულად ჩამორჩენილ ხალხად, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი მწერლობა, გარდა წმინდა რელიგიურ წერილებისა.

ოქტომბრის რევოლუციამდე ტაჯიკეთში წერაკითხვის მცოდნე იყო მოსახლეობის მხოლოდ 2—3 პროცენტი, ისიც სასულიერო პირები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა სხვა ერს, ისე ტაჯიკ ხალხსაც მიეცა კულტურული აყვავების ფართო შესაძლებლობა. დღეს ტაჯიკთა რესპუბლიკა წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის დიდ ოჯახში შემავალ ერთერთ მოკავშირე რესპუბლიკას. ახლა ტაჯიკებს აქვთ არა მარტო საკუთარი ლიტერატურა, არამედ ისინი ეცნობიან სხვა ძმური ხალხების ლიტერატურის ნიმუშებსაც.

მიმდინარე წელს ტაჯიკთა რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ტაჯიკურ ენაზე გამოსცა ცნობილი ქართველი კლასიკოსის დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე". წიგნი თარგმნილია ტაჯიკი მწერლის ზიჯოიდინოვის მიერ. წიგნი მხატვრულადაა გაფორმებული, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 2 მანეთად.

მიღებულია აგრეთვე ცნობა, რომ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ტაჯიკურ ენაზე გამოსაცემად მზადდება ილიას რჩეული ნაწერების კრებული.

# „ვეფხის ტყაოსანი" აფხაზურ ენაზე

სოხუმის საზოგადოებრივობა ემზადება ფართო მონაწილეობის მისაღებად შოთა რუსთაველის 750-წლისთავის დღესასწაულში. აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირმა განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად სკოლებში მოაწყო შოთა რუსთაველის შემოქმედების შემსწავლელი წრეები. საწარმოებსა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყობენ შოთა რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოებს, მოხსენებებს, ლექციებს, კონცერტებს.

აფხაზეთის სახალხო პოეტი დ. გულია და მწერალი ს. ჩანბა აფხაზურ ენაზე სთარგმნიან შ. რუსთაველის უკვდავ პოემას „ვეფხის ტყაოსანს" (საქდესი).

**გულიკო შაქარიშვილი**

ამხ. ნ. კრუპსკაიას სახელობის აჭარელ ქალთა პედაგოგიური ტექნიკუმის ფრიადოსანი მოწაფე (ქ. ბათუმი)

ფოტო ივ. იმედაძისა

# ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით თავის საგამოფენო დარბაზში აწყობს ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ გამოფენას 15-ზე მეტი განყოფილებით: „ილიას ბავშვობა და ყრმობა", „ილია სტუდენტი", „ილია რუსეთში", „ილიას ნათესავები", „ილიას ნაცნობ-მეგობრები", „ვორონცოვის პერიოდი", „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში და ილია ჭავჭავაძე", „მამათა და შვილთა ბრძოლა" (გრ. ორბელიანი და „თერგდალეულები"), „ილიას მოღვაწეობის პერიოდები" და სხვ.

გამოფენა 20 მაისისათვის გაიხსნება.

◆

# სპორტი

## სამი ქალაქის მოკრივეთა შეხვედრა

12 აპრილს ძერჟინსკის სახელობის კლუბში დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, სოხუმისა და ბათუმის გუნდები. შეჯიბრების პირველმა ორმა დღემ თბილისელების აშკარა უპირატესობა გამოამჟღავნა, თითქმის ყოველი შეხვედრა მათი გამარჯვებით თავდებოდა.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრების მესამე დღემ. პირველობის გათამაშების ფინალში უმთავრესად თბილისის მოკრივეები მოხვდნენ.

უმსუბუქესი წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კალაძე და ბერიევი. საინტერესო შეჯიბრების შედეგად გაიმარჯვა ბერიევმა. მსუბუქ წონაში მარქაროვის დამარცხების შედეგად პირველ ადგილზე გორგასლიძე გამოვიდა. დანარჩენი წონის კატეგორიებში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ავეტისოვი, ნიკოლაევი, ონგემახი, ბაქრაძე, რუდომიოტკინი და ნოვოსარდოვი (ყველა თბილისი).

ჩამოსული მოკრივეებიდან ყურადღება მიიქცია ბათუმელმა ტულუშმა. იგი ფიზიკურად ძლიერი და აგრესიული სტილის მოკრივეა. მიუხედავად სუსტი მომზადებისა მან მაინც შესძლო თბილისელი კასპაროვისა და სოხუმელი ცეუნიკასის დამარცხება.

სოხუმელ მოკრივეებიდან თავი ისახელეს კაჭარავამ, ხარლამპიდიმ და ლიუტიმ.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიჭირა თბილისის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის მეორე გუნდი. მესამე ადგილი დაიჭირეს ბათუმის მოკრივეებმა, ხოლო მეოთხე ადგილზე დარჩნენ სოხუმელები.

**თ. ფურცელაძე**

# ახალი ამბები

● **წელს დამთავრდება** თბილისის ნახშირმჟავას ქარხნის მშენებლობა. ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 1.000 ტონა ნახშირმჟავას. მშენებლობაზე დაიხარჯება 340.000 მანეთი.

● **თბილისის წითელი ჯვრის** საავადმყოფოსთან შენდება ახალი განყოფილება კიბოთი დაავადებულთათვის, რისთვისაც გადადებულია 200.000 მან.

● **საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკამ** გამოსცა ბიბლიოგრაფიული საძიებელი „მსოფლიო კლასიკოსები ქართულ ენაზე".

● **100 საწოლით** გაფართოვდება თბილისის საბავშვო საავადმყოფო, რისთვისაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასდო 294.000 მანეთი.

# ხ[illegible]

## საქ. ჯანსახკომის [illegible] თეატრი

ამ თეატრს უკვე ათი წლის ისტორია აქვს, მაგრამ არაფერი თვალსაჩინო არ გაუკეთებია, რაზედაც შეიძლებოდეს ყურადღების მიპყრობა. თეატრი პროფესიულ ხასიათს არ ატარებდა, მას არ ჰქონდა იდეოლოგიურად და მხატვრულად გამართული რეპერტუარი, სახელდახელოდ შეხანხლული სკეტჩებით ჰკვებავდა მაყურებელს.

საქ. ჯანსახკომმა, რომელიც სათავეში უდგას ამ თეატრს, მოახდინა თეატრის რეორგანიზაცია—შეარჩია მსახიობთა ახალი კადრები, მოიწვია მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული რეჟისორი გ. ლაღიძე, შეარჩია თეატრისათვის შესაფერი რეპერტუარი და გადაახალისა მთელი მუშაობა.

თეატრს ამჟამად მზადა აქვს შ. დადიანისა და ვ. ჩოხელის პიესა „აჯილო" 10 სურათად, კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", ზაიაცკის „ცხოვრება გვიკარნახებს", რომელთა საზოგადოებრივი განხილვა მოხდება მოკლე ხანში.

თეატრი ამ ზაფხულს შემოივლის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებს.

◆

# ე. სტეპანოვას გასტროლები

თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელ. სტეპანოვა. მისი მონაწილეობით ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგმება „ტრავიატა" და „რიგოლეტო".

პირველი საგასტროლო წარმოდგენა გაიმართება 17 აპრილს. იდგმება „ტრავიატა". 24 აპრილს დაიდგმება „რიგოლეტო", ოპერა მიდის განახლებული დადგმით. ჯილდას როლს შეასრულებს ე. სტეპანოვა, ჰერცოგისას — ლენინგრადის საოპერო თეატრის არტისტი შალვა სანაძე.

◆

# „შემოდგომის აზნაურები" ლანჩხუთის თეატრში

დღეს, 15 აპრილს, ლანჩხუთის თეატრში მიდის მორიგი პრემიერა — ს. კლდიაშვილის კომედია „შემოდგომის აზნაურები", დადგმა თეატრის ხელმძღვანელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. აბაშიძისა.

◆

# პარტკალენდარი

დღეს, 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა თემაზე: „ოცი წლისთავი ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებისა და ამხანაგ სტალინის მოხსენებისა ნაციონალურ საკითხზე რსდმპ (ბ) მეშვიდე (აპრილის) კონფერენციაზე".

◆

დღეს, 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „ისტორიული მნიშვნელობა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებისა და ამხანაგ სტალინის მოხსენებისა ნაციონალურ საკითხზე რსდმპ (ბ) მეშვიდე (აპრილის) კონფერენციაზე".

◆

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი წინადადებას აძლევს ვარლამ სევასტის-ძე ბუაძეს სასწრაფოდ გამოცხადდეს გორის რაიკომში.

საქ. კ. პ. (ბ) 26 კომისრის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 16 აპრილს მოწვეულია

**XIX რაიონული პარტიული კონფერენცია**

დღის წესრიგშია: რაიკომის ანგარიში და სარევიზიო კომისიის თანამოხსენება; რაიკომის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების არჩევა თბილისის საქალაქო პარტკონფერენციაზე.

კონფერენციის სხდომები იწარმოებს სომხური სახელმწიფო დრამის შენობაში (შაუმიანის ქუჩა).

კონფერენცია გაიხსნება საღ. 6 საათზე.

17 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდისა, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ამხ. ე. ბედია ქალაქის პარტიული აქტივისათვის გააკეთებს მოხსენებას თემაზე:

**„ისტორიული მნიშვნელობა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებისა და ამხანაგ სტალინის მოხსენებისა ნაციონალურ საკითხზე რსდმპ (ბ) მეშვიდე (აპრილის) კონფერენციაზე".**

შესვლა გასაშვები ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი გრ. მუშიშვილი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

| | |
|---|---|
| 15-IV | დაისი |
| 16-IV | ბრუბადური |

დასაწყისი ს რულ 8 საათზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

| | |
|---|---|
| 15-IV | ალკაზარ |
| 16-IV | არსენა |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

| | |
|---|---|
| 15-IV წარ. № 149 | იცკა რიქინაშვილი |
| 16-IV წარ. № 150 | ნინოშვილის გურია |

სახცირკი
ტელ. 3-11-44

დღეს, 15 აპრილს,
მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა და
ფრანგული პროფ.
ჭიდაობის
მე-46 დღე
ჭიდაობს 3 წყვილი
1. ვ. გომოლკოვი — ფრანკ გუდი
2. ვერდინი — ნელსონი
3. ჟ. მუსტაფა—ბაბალიკაშვილი
წარმოდგ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა—10 ს. 30 წ.

18 აპრილს დღისით წარმოდგენა შეცვლილი პროგრამით დასაწყ. 2 ს.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11 | დადგმის მეორე კვირა ხმოვანი ფილმი ფრთოსანი მლებარი |
| დამკვრელი 6, 7-40, 9-20, 11 | რეჟისორი ლეო ესაკია ოპერატორი დ. კანდელაკი |
| კომკავშირელი 6-30, 8,9-30. 11 | ახალი ხმოვანი ფილმი დიდი ფრთები |
| რ. ლუქსემბ. 6, 7-40, 9-20, 11 | დადგმის მეორე კვირა ხმოვ. მხატვ. ფილმი |
| 26 კომ. სახ. 6, 7-30, 9, 10-30 | ფრთოსანი მლებარი |
| ახალი ამბები. | ესპანეთის ამბები №-16 გამოშვ. ხმოვანი ჟურნალები №№ 13 და 14. |

საქ. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სახ. ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია

აცხადებს,

რომ მის საჯარო სხდომებზე მოხდება დისერტაციების დაცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად:

1. ა/წ. 25 აპრილს, დღის 1 საათზე, სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (ლენინის ქ., № 50) უფროსი მეცმუშაკის ალექსი უსტიაშვილისა თემაზე: „აშკამ-ცონდეკის რეაქციის მოდიფიცირებისათვის". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ივ. თიკანაძე და პროფ. ბ. ღოღობერიძე.

2. ა/წ. 5 მაისს, დღის 1 საათზე, ქალ. 1 საავადმყ. უროლოგიური კლინიკის აუდიტორიაში ექ. მ. ფურცელაძისა თემაზე: „თირკმელების ორმხრივი კენჭოვანი დაავადება".

ოფიციალური ოპონენტები პროფ. გ. მუხაძე და პროფ. ა. წულუკიძე.

მსურველთ შეუძლიანთ შრომებს წინასწარ გაეცნონ ყოველდღე 11—4 საათამდე ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის ქ., 12).

16886 დირექცია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო იუწყება,

რომ 1937 წლის 27 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის 16) შესდგება საბჭოს ღია სხდომა საჯარო პაექრობით.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნიკოლოზ ივანეს-ძე დემეტრაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მენინგოს შუა არტერიის ტოპოგრაფიისათვის". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. ალ. ნათიშვილი, დოც. ე. ზაქარაია და დოც. ილ. ახმეტელი.

მსურველთ შეუძლიათ შრომას გაეცნონ ყოველდღე 2—5 საათამდე მედინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან.

80 ტფ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო.

თანახმად საქართველოს განათლების სახალხო კომისრის 1937 წლის 19 იანვრის № 112 ბრძანებისა,

განსახკომის უმაღლესი სკოლების სამმართველო აცხადებს:

1. იმ პირთ, რომელთაც მოსმენილი აქვთ სახელმწიფო უნივერსიტეტის და პედინსტიტუტის კურსი 1933 წლამდე (1932 წ. ჩათვლით), ჩაუბარებელი დარჩათ არა უმეტეს ხუთი საგნისა და მუშაობენ მასწავლებლებად, ნება ეძლევათ ჩააბარონ დარჩენილი ხუთი საგანი.

საგნების ჩაბარების ნებართვის მისაღებად აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ განსახკომის უმაღლესი სკოლების სამმართველოში. გამოცდები იწარმოებს საქ. სახ. უნივერსიტეტში 1937 წ. ივნისში და ამავე წლის დეკემბერში.

2. იმ მასწავლებლებს, რომელთაც ჩაუბარებელი აქვთ ხუთ საგანზე მეტი, ნება ეძლევათ ჩაირიცხონ დაუსწრებელ ინსტიტუტში.

უმაღლ. სკოლ. სამმართვ. უფროსი

36 2-2 შ. ცაგარეიშვილი.

სსრ კავშირის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის ბუფეტებისა და ვაგონ-რესტორანების მთავარი სამმართველო

ამიერ-კავკასიის კანტორა

მგზავრთა საყურადღებოდ

ბუფეტებში ა/კ. რკ. გზ. ყველა საკვანძო სადგურზე

დიდი არჩევანი ცხელი კერძებისა და ცივი საუზმეებისა. დიეტიური, საბავშვო და ნაციონალური საჭმელების. ჩაი, ყავა, კაკაო, პირაჟკები. საკონდიტრო ნაწარმი. ნაყინი. გამაგრილებელი სასმელები, ყოველნაირი მინერალური წყლები, ლუდი, ღვინოები.

გამოცდილი შეფ-კულინარებისა და კვების დარგის ექიმების მეთვალყურეობით.

მატარებლების მოსვლის დროისათვის წინასწარ გაიწყობა მაგიდები ცხელი საჭმელებითა და ცივი საუზმეებით.

თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ერევნის მხატვრულად გაფორმებულ რესტორანებში მუსიკალური ანსამბლები და ჯაზ-ორკესტრები.

მიიღება წინასწარი შეკვეთები სადილზე, ვახშამზე, ბანკეტებზე და სხვ.

შორეული გზის მატარებლებში არის ვაგონ-რესტორანები და კუპე-ბუფეტები ცხელი და ცივი კერძებით.

თავაზიანი და სწრაფი მომსახურება.

დირექცია.

БУФЕТ
ВНУТОРГ
ЗАКАВКАЗСКОЙ КОНТОРЫ

„კომუნისტის" რედაქციას

ესაჭიროება

გამოცდილი კორექტორები

პირობების გაგება „კომუნისტის" რედაქციის სამდივნოში.

ექიმი ი. ჭეიშვილი

კანის და ვენერიული ავად.

იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს

კამოს ქუჩა № 72.

თანახმად ჩხარის რაიონის სახალხო სასამართლოს 1937 წლის 9 აპრილის დადგენილებისა, ხდება ჩხარის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კონიაკის ქარხნის ლიკვიდაცია, შეუძლებელ მოვალედ ცნობის გამო.

ყველა იმ დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს, ვისაც პრეტენზია აქვს, წინადადება ეძლევა წარუდგინონ ჩხარის რაიკონიაკის ქარხნის სალიკვიდაციო კომისიას არაუგვიანეს ერთი თვისა დღის რიცხვიდან შემდეგი მისამართით: დაბა ჩხარი, რაიკონიაკის ქარხნის შენობა. აღნიშნულ ვადის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

16881

## საქართველოს კომუნალური ბანკის 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის დასკვნითი

# ბალანსი

| აქტივი | | | | პასივი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა მანეთი | კაპ. | №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | თანხა მანეთი | კაპ. |
| 1 | ფულადი სახსრები | 36.868 | 32 | 1 | კაპიტალი და ბანკის ფონდები | 11.179.204 | 60 |
| 2 | მოკლევადიანი სესხები | 2.531.454 | 21 | 2 | ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები | 58.260 | 55 |
| 3 | საკორესპ. ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებთან სსრ კავშირში | 14.325.175 | 86 | 3 | სპეც. დანიშნ. სახსრები და ფონდ. | 25.243.166 | 74 |
| 4 | გრძელვადიანი დაკრედიტება | 100.745.076 | 87 | 4 | საანგარიშსწორებო და მიმდინ. ანგარიშ. | 13.176.114 | 65 |
| 5 | პაები და აქციები | 158.000 | — | 5 | საკორესპ. ანგარიშები საკრედიტ. დაწესებულებებთან საბჭ. კავშირში | 2.292 616 | 90 |
| 6 | დებიტორები | 13.941 | 26 | 6 | ანგარიშსწორებანი სსრ კავშირის საკრედიტო დაწესებულებებს შორის მიზნობრივი გრძელვად. სესხ. | 67.450.999 | 58 |
| 7 | ვადაგადაცილებული სესხები და გადასახდელები | 1.441.441 | 42 | 7 | კრედიტორები | 3.392 | 82 |
| 8 | შენობები და ბანკის ინვენტარი | 595.076 | 77 | 8 | გაცემული აკრედიტივები | 288.384 | 81 |
| 9 | ურთიერთ ანგარიშსწორება | 8.452.564 | 68 | 9 | ურთიერთ ანგარიშსწორება | 8.452.564 | 68 |
| 10 | დანარჩენი აქტივი | 70.728 | 93 | 10 | დანარჩენი პასივი | 144.030 | 87 |
| | | | | 11 | 1936 წლის დაგროვებანი | 81.583 | 12 |
| | ბალანსი | 128.370.328 | 32 | | ბალანსი | 128.370.328 | 32 |

## 1936 საოპერაციო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიში

| №№ რიგზე | ანგარიშების დასახელება | თანხა მანეთი | კაპ. | №№ რიგზე | ანგარიშების დასახელება | თანხა მანეთი | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საოპერაციო ხარჯები | 472.990 | 08 | 1 | საოპერაციო შემოსავალი | 2.025.523 | 52 |
| 2 | ადმ. სამმართველო ხარჯები | 1.446.177 | 64 | | | | |
| 3 | სეჭვო ვალების ჩამოწერა | 24.772 | 68 | | | | |
| | სულ საერთო ზარალი | 1.943.940 | 40 | | სულ საერთო შემოსავალი | 2.025.523 | 52 |
| | წმინდა მოგება | 81.583 | 12 | | | | |
| | ბალანსი | 2.025.523 | 52 | | ბალანსი | 2.025.523 | 52 |

ბალანსი დამტკიცებულია საქართველოს ფინსახკომის და ცეკომბანკის მიერ 15/II-37 წ.

საქართველოს კომუნალური ბანკის მმართველი ა. გ. დოლიძე მთავარი ბუხჰალტერი გ. ი. მახარაძე

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მუშოდმელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ—8240